პროლეტარიელებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОММУНИСТ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

№ 14 (20660) — ოთხშაბათი, 17 იანვარი, 1990 წელი. — ფასი 8 კაპ.

# ეროვნული ინტერესი, ეროვნული პასუხისმგებლობა

## მ. ს. გორბაჩოვის სიტყვა

### ლიტვის პარტიული აქტივის კრებაზე 13 იანვარს

ჩემი ყოფნა რესპუბლიკაში, მონაწილეობა ამ შეხვედრაში, რომელსაც ესწრება ლიტვის კომუნისტური მოძრაობის ორივე ფრთა, მოწმობს, რომ თქვენ ამხანაგები, ჯერ კიდევ ვერ გამოსულხართ ეიფორიის მდგომარეობიდან, და ჯერჯერობით იმის გააზრების პროცესი, რაც თქვენთან ხდება, ძნელია მოვაქციოთ უფრო ღრმა კალაპოტში. და მაინც, უნდა ვაღარმოოთ სჯა-ბაასი, არ დავკარგოთ დრო.

ჩემი ეს მოგზაურობა, რა თქმა უნდა, სცილდება რეგულარული ფარგლებს, მას არაორდინარული ხასიათი აქვს. ხოლო თუ გავითვალისწინებთ, რომ ამავე დროს აქ გვესწრება სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრთა სხვა რესპუბლიკების წარმომადგენელთა, კულტურის მოღვაწეთა ჯგუფი, ეს მხოლოდ ხაზს უსვამს სიტუაციის არაორდინარულობას. ჩვენი ყოფნა რესპუბლიკაში და სჯა-ბაასი, რომელსაც აქ ვაწარმოებთ, ასახავენ პარტიაში, მის სხვადასხვა რაზმში, და, არსებითად, მთელ ქვეყანაში წარმოქმნილი ღრმა მეფფოთებას ლიტვაში საზოგადოებრივ-პოლიტიკური სიტუაციის განვითარების მიმდინარეობის, იმ გადაწყვეტილებების გამო, რომლებიც ლიტვის კომუნისტური პარტიის XX ყრილობამ მიიღო. ამ ჩვენი ღონისძიების მიზანი ის არის, რომ რესპუბლიკის მშრომელებთან, კომუნისტებთან, საზოგადოებრიობასთან ფართო დიალოგის, ლიტვის კომუნისტთა და ყველა მცხოვრების გუნება-განწყობილების უფრო ღრმა გაგების საფუძველზე გამოვძებნოთ გამოსავალი, თავიდან ავიცილოთ ცენტრიდანული ძალების საშიში განვითარება საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიაშიც და თვით საბჭოთა კავშირშიც.

უნდა ვთქვა, რომ ყველა იმ ცვლილების ცენტრალური პუნქტი, რომლებიც ახლა ხდება მსოფლიოში, სოციალიზმის ქვეყნებში და რომლებიც მოასწავებენ მთელი კაცობრიობის ცივილიზაციის გასვლას ახალ ეტაპზე, — ეს არის საბჭოთა კავშირი, გარდაქმნა სსრ კავშირში. და როგორ წარიმართება, როგორ განვითარდება, რას გამოიწვევს იგი, —ბევრად ასეთი იქნება მსოფლიოც. და თუ თქვენ, ამხანაგები, ფიქრობთ, რომ ამას ვაზვიადებ, გეტყვით: ეს მარტო ჩემი თვალსაზრისი როდია. ეს უკვე ჩამოყალიბებული თვალსაზრისია. ჩვენ გვეკისრება უდიდესი პასუხისმგებლობა. არ გამოგაყოფთ თქვენ არც ქვეყნისაგან, არც საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისაგან და არც ჩემგან. ყველა დისკუსია, რა მწვავე ხასიათიც უნდა შეეძინოთ მათ აქ ამ დღეებში, ხაზს უსვამს ამ კონსტატაციის სამართლიანობას.

ვფიქრობ, ლიტველ კომუნისტებსა და ლიტველ მშრომელებს მუდამ უნდა ახსოვდეთ ეს, როცა საქმე ეხება ხალხს, ერს, რესპუბლიკის ყველაზე საარსებო პრობლემებს. უფრო მეტიც, უნდა ვთქვა, რომ ჩვენ არა გვაქვს — და ამას ვხედავ რესპუბლიკაში ყოფნის შედეგად — იმის საკითხების გაგების განსხვავებანი, რომ გადაკრით უნდა შევცვალოთ ჩვენი ცხოვრება ყველა მიმართულებით, მის ყველა სფეროში, მოვიცვათ ეკონომიკა, სოციალური დარგი, პოლიტიკური პროცესი, სულიერი ინტერესები. თვით პარტიაც და ფედერაციაც. აქ განსხვავება არ არის. განსხვავება იწყება სხვა საკითხში — როგორ მოვახდინოთ ეს: დავიქსაქსოთ ცალ-ცალკე გზებით, დავანგრიოთ ის, რაც უნდა გადავაკეთოთ, რასაც ახალი თვისება უნდა მივანიჭოთ? თუ ვიმოქმედოთ ერთად, ერთგულად მივაწოდოთ ჩვენს ორგანიზმს, განვაახლოთ იგი.

სწორედ აქ იწყება ჩვენთან გაუგებლობა. „ამასთან დაკავშირებთან გავიმეორებ, რაც უკვე ვთქვი: აქ იმიტომ როდი ჩამოვედი, რომ ჩემი შეხედულებანი მოგახვიოთ თავს. უფრო მეტიც: ყველა შეხვედრაზე, როცა მთხოვდნენ გამოსვლას, იმით ვიწყებდითო, რომ უწინარეს ყოვლისა ადამიანებს ვუსმენდი. ამიტომ უარვყოფ აქ გამოსული ამხანაგის ბრალდებას, თითქოს ლიტვაში მოსასმენად კი არა, არამედ ჩემი თვალსაზრისის თავს მოსასვენებად ჩამოვსულიყავი. ეს არ შეესაბამება ეიმპარატებას. ვერ წარმომიდგენია, რომ მუშას, რომელსაც აქვს შესაძლებლობა ხედავდეს და ისმენდეს, როგორ მიმდინარეობდა მოვლენები, ასე შეუძლია იფიქროს. ხედავთ, თურმე ჩემი გამოსვლები, პოზიცია უკვე ცნობილია, და „იგი, წარმოიდგინეთ, ლამის მოქანცა ამის მოსმენამ, თავი მოიბეზრა კიდეც. არ მჯერა, რომ ეს მისი სიტყვებია! ზოგ-ზოგები ექსტაზიაციას უწევენ მუშებს. ეს გუშინ ერთ-ერთ შეხვედრაზე ვთქვი, როცა დავინახე, რომ ამხანაგები გამოდიან და კითხულობენ ტექსტს, რომელიც აშკარად არ არის მათი დაწერილი. ეს ჩემი აზრია, როგორც გენებოთ, გინდ გეწყინოთ გინდ არა. იცით, მე მოდამ ამას ვამბობ, რასაც ვფიქრობ. და არა, ისე, რომ ერთს ვწერთ და ჩრდ გონებაში ვიმახსოვრებთ — ჩემს მდგომარეობას ეს არ შეეფერება. შეგიძლიათ არ დამეთანხმოთ, მაგრამ კვლავ ვიტყვი: ყველაფერს გადაწყვეტთ, ყველაფერს მოვუვლით — ერთად, ერთმანეთის მხარდამხარ, მუდმივი დიალოგით, გულახდილი და პირდაპირი დიალოგით. გარდაქმნა ამის შეუზღუდავ შესაძლებლობებს იძლევა.

როცა დღეს სამხედროებთან შესახვედრად მივდიოდით, ლიტვის სსრ უზენაესი საბჭოს შენობასთან მოქალაქეთა ჯგუფი ერთხმად ცდილობდა დაეჭიმებით გაეგონებინა ჩემთვის, რომ ლიტვას თავისუფლება სჭირდება. შეკითხვა: განა თავისუფალი არა ხართ, თუ აშკარად, ერთხმად ამბობთ, მღერით ამას ჰიმნივით? თქვენ თქვენი აზრი გამოხატეთ, ეს გავიგოთ, აღვიქვი. ჩემი აზრით, ეს თავისთავად უკვე იმის რეალური ნიშნია, რომ თავისუფლება მიინც მოვიდა — ლიტვის მიწა-წყალზე, მოვიდა და გარდაქმნა მოიტანა. და — გიგეგეთ — აქ ფესვებს გაიდგამს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ გაგრძელდება გარდაქმნის პროცესი, თუ თავად გარდაქმნა ღრმად გაიდგამს ფესვებს მთელ კავშირში.

მთელი ეს დღეები აღსავსე იყო შეხვედრებით, საუბრებით, დისკუსიებით. პრაქტიკულად სჯა-ბაასი მიმდინარეობდა მთელ ლიტვასთან, რადგან ეს შეხვედრები, საუბრები, მე კი მხედველობაში ყოველ აქ ჩამოსული სხვა ამხანაგებიც, გაიმართა რესპუბლიკის 15 რაიონსა და ქალაქში, 40 შრომითი კოლექტივის წარმომადგენლებთან. ამას უნდა დაეუმატოთ მრავალი შეხვედრაც ქუჩებში, მოედნებზე, ჩვენი სვლის გზაზე, და ის რომ ტელევიზიით გადაიცა. ასე ვთქვათ „ცოცხლად", უკუნათურებოდ, რათა ადამიანებმა ყველაფერი ნახონ და თავად ერთხელ კიდევ გაესაჯონ ნანახი. და თავისთავად ხომ ესეც თავისუფლების, ნამდვილი თავისუფლების და არა თავისუფლებაზე ლაყბობის ნიშნია! ის კი, ვინც თავისუფლებაზე ლაყბობს და ამავე დროს თავის გაზეთში არაფრის დიდებით არ გაუშვებს საწინააღმდეგო აზრის ორ სტრიქონსაც კი, ეს რაღა, უკაცრიელი პასუხია, თავისუფლებაა? ეს ფიქცია. ჩვენ კი ყველაფერი ვიღონეთ, რათა ყველას თვალსაზრისი, ვინც გვეთანხმება და არ გვეთანხმება, გაგვეცნო მთელი ლიტვისათვის, მთელი ქვეყნისათვის.

აი როგორი სჯა-ბაასი გაიმართა ამ შეხვედრების შედეგად, პარტიის ცენტრალური კომიტეტის დავალების შესრულების დროს, რომელიც მოგვცეს დეკემბერში, ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე, ყველაფერი, რაც ქვეყანაში ხდება, და კვლავ ასეთია ჩემი თვალსაზრისი, პოზიცია, უნდა იცოდნენ პარტიამ და მთელმა ჩვენმა ხალხმა. ჩვენი ქვეყანა — ჩვენი სახლია, და ჯერჯერობით მიმაჩნია, რომ დერეფანში კი არ ვიმყოფები, როგორც თქვენ აქ ბრძანდეთ, კაზმირა პრუნსკენე. და გამაკვირვა: გასასვლელ ეზოდ ხომ არ უნდათ აქციოს-შეთქი ლიტვა. ხედავთ, სადამდე მიდიან! — თავი აარიდონ რეალობებს, სადაც გვერდით საიმედო მხარია, შეეიდნენ რომელიღაც გასასვლელ ეზოში, რათა თვითონვე დაებნათ თავგზა!

ჩვენ ვამთავრებთ დიდ პოლიტიკურ მარათონს. საბოლოო დასკვნებს პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი გამოიტანს, ეს მისი პრეროგატივაა. მე უკვე შეეეკადე, რათა თქვენ, ძვირფასო ამხანაგებო, ერთხელ კიდევ შეხედოთ, მიუახლოვდეთ სიტუაციის შეფასებას, შეხედოთ იმ შემობრუნებას, არჩევანს, რომელსაც ახლა ანდენთ გარდაქმნის პროცესების კონტექსტით და არა მათგან იზოლირებულად, ვფიქრობ, მაშინ უფრო გასაგები გახდება ჩვენს საზოგადოებაში, მთელს უდიდეს ქვეყანაში წარმოქმნილი შეშფოთებაც და სურვილიც გამოვიმუშაოთ ურთიერთმისაღები გადაწყვეტილებანი, თავიდან ავიცილოთ კონფრონტაცია, კავშირის გაწყვეტა. კავშირის გაწყვეტა ჩვენ არა გვჭირდება.

ვინც რეალურ პოლიტიკას ადგას, იმას უნდა ესმოდეს, რომ უმცირესი სეპარატისტული თუ ნაციონალისტური გამოხდომები წარმოშობენ ისეთ კონფრონტაციას, რომ ერთ შემთხვევაში მილიონ-ნახევარი ადამიანი მოქმედებას იწყებს, მეორე შემთხვევაში — მთელი ორმოცდაათი მილიონი. ეს უნდა იცოდეს ჩვენმა ხალხმა, უნდა იცოდეს. დიდ პატივს ვცემ მოაზროვნე, კომპლექსებისა და სტერეოტიპებისაგან თავისუფალ, სიანლის, ცხოვრების მოძრაობის გაგებით აღჭურვილ ადამიანებს, და ჩემ თავსაც მათ მივაკუთვნებ, ასეთი თვისებები ახლა მეტად საჭიროა, სხვგვარად ვერ გავიგებთ ამ ცხოვრებას, ვერ ავაგებთ სწორ პოლიტიკას. პატივს ვცემ მეცნიერებს, და ისინი ვთხოვ, ნუ გამიხაწყენდებიან, რომ გაისმა რაღაც ნოტი „პროფესორთა კონცეფციების" შესახებ: რას იზამთ, ასეთია გულახდილობა, აზრთა პლურალიზმი, დემოკრატია.

ეს ხომ ერთ კარში თამაში არ არის. დღესაც გამოვიდა ზოგიერთი ფილოსოფოსი. ფილოსოფიური ნაწილი მომწონს, ეკავრდები აზრს, გონების დიალექტიკას. მაგრამ რა არის შემდეგ, ფილოსოფიის, კონცეფციის შემდეგ, რა მოდის შემდეგ? შემდეგ იწყება პოლიტიკა. თუ მხოლოდ უბრალოდ კონცეფციაა — ეს ჭკუის ვარჯიშია. სიარული ბაღში, როგორც მხარზე თეთრ ტოგაშამოსხმული არისტოტელე ან კიდეც უფრო ადრე პლატონი და მისი მოწაფეები, სიარული და სუფთა ჰაერზე თავისუფალი მსჯელობა, აზრის წვრთნა. მაგრამ შემდეგ ხომ მოდის პოლიტიკა! მის მიღმა კი, კიდევ უფრო შორს, უფრო ღრმად რეალური ადამიანთა ცხოვრებაა, რომლებსაც თავიანთი ინტერესები, უბედურება, ჭირი და ლხინი — ყველაფერი აქვთ.

ჰოდა, ყოველთვის ჩვენი განსჯა კონცეფციებიდან ჭკუის თავისუფალი ვარჯიშიდან უნდა მივიყვანოთ რეალურ ცხოვრებამდე, ადამიანთა რეალურ ინტერესებამდე, და არა უბრალოდ გავათამაშოთ დიდი ცნებები: „თავისუფლება", „დამოუკიდებლობა" და ასე შემდეგ. აბსოლუტური თავისუფლება არ არსებობს, აბსოლუტურ დამოუკიდებლობას ვერსად ვერ იპოვით — ექვსმტრიანი ტელესკოპითაც კი. აბსოლუტური დამოუკიდებლობა არ არსებობს. ყველაფერი ამ სამყაროში ერთმანეთთან არის დაკავშირებული და ერთმანეთზე არის დამოკიდებული. და ეს დამოკიდებულება იზრდება. პოლიტიკოსთა და მეცნიერთა პასუხები უნდა ვეძებოთ ამ დამოკიდებულებისა და ურთიერთკავშირის გათვალისწინებით, და არა სხვა მიმართულებით.

პირადად მე მიმაჩნია, რომ პოლიტიკა ვერ იქნება წარმატებული მეცნიერების მონაწილეობის გარეშე. გვეყო ამგვარი პოლიტიკა! და ამიტომ ყველაფერი, რასაც ვკეთებთ, ყოველთვის კოლექტიური შემოქმედების პროდუქტია, და არა რაღაც ღვთაების გამობრწყინება. და დაე ნურავინ ნუ აცხადებს პრეტენზიას ამაზე, დავუტოვოთ ეს მორწმუნეებს. ზუსტად ასევე, ჩემი აზრით, არ შეიძლება იყოს პოლიტიკა მორალის, ზნეობრიობის გარეშე, ჰუმანური ასპექტის გარეშე. ტექნოკრატიზმი, საწარმოო ძალების ნებელობითი განლაგება — მე უბრალოდ ვასახელებ ორ-სამ სიტყვას, აღვნიშნავ პუნქტირით, რათა ნათელი იყოს. ჩვენს ისტორიაში ასეთი რამ ყოფილა, და თქვენ იცით, რად იქცა ეს ადამიანებისათვის. ყოველივე ამას ვეთანხმება როგორც პოლიტიკოსი, როგორც კაცი, რომელიც დღეს აღჭურვილია დიდი უფლებამოსილებებით, და მაშასადამე — ამ უფლებამოსილებების ადეკვატური პასუხისმგებლობითაც. მაგრამ გთხოვთ ბოლოდეგ გაიაზროთ ყოველივე, რასაც ხალხსა და საზოგადოებას ვთავაზობთ.

ზოგჯერ მესმის, ნელა მივიწევთ წინ, საჭიროა უფრო სწრაფად, ჰამლეტრიებითო. მე თქვენ გეტყვით: იმ პირობებშიც კი, როცა არ ვჩქარობთ, ოთხ წელიწადში ისეთი გზა გამოვიარეთ, როგორიც 70 წლის მანძილზეც არ გავევლია! ეს — პირველი. მეორე, აუჩქარებლადაც, ყველაფრის გაბრენთავ. უკვე დავუშვით შეცდომები თვით გარდაქმნის მსვლელობაშიც. და ვიცით, რაც მოპყვა მათ. არ შეიძლება ისტორიის, პროცესების აჩქარება. თუ ჩვენ ძლევძლეობით ვერკვეევით იმაში, რაც ხდება, და ხშირად ემოციების ტყვეობაში აღმოვჩნდებით ხოლმე, ანდა ვერიკაბით დეფინიციებს, წარმოიდგინეთ, როგორ უჭირს შემობრუნებია მთელი ამ სირთულის, მისი მრავალფეროვნების, სიახლის, მაშტაბურობის გაგება და გამოუცდელ კაცს. არადა, ბოლოს და ბოლოს ხომ სწორედ მან, მშრომელმა კაცმა, უნდა გაიგოს და მიიღოს ან უკუაგდოს ესა თუ ის პოლიტიკა. მაშ, საითღა მიერეკებით? ნუთუ არ გაინტერესებთ ადამიანი? რო, ისევ „სუპერგმირები" ჩნდებიან, ოღონდ ახალი სამოსლით, პროფესორებისა და აკადემიკოსების მანტიებით? ერთ შემთხვევაში იყო ღმერთი — ყველა ხალხის მოძღვარი, ახლა — მოძღვრები სხვა სახით? მკვახე ნათქვამია? დიახ, მკვახეა. (გამოცოცხლება დარბაზში). ჩავთვალოთ, რომ ეს თქვენ არ გეხებათ. სხვებს ეხებ-ოთ. ასე რომ, მოდით, ვიფიქროთ, ვიმსჯელოთ, გავაანალიზოთ, შევედაროთ. ჩვენ უკვე მოგვიხვევია თავს მრავალი კონცეფცია და გამოგვირიცხავს პროცესიდან თვით ხალხი. იმის, რომ ვესაჯელობთ და ამ მსჯელობაში მონაწილეობს მთელი ლიტვა — კომუნისტები, მშრომელები, ყველა ეროვნების წარმომადგენლები — ამას მივესალმები. ოღონდ მთლიანად ვერ დავკმაყოფილდი მხოლოდ იმიტომ, რომ ამ დღეებში თქვენ ძალიან ცდილობდით, და არა მარტო თქვენ, ერთ რამეს: როგორმე გაგეგებინებინათ, ჩემთვის მხოლოდ საკუთარი თვალსაზრისი. მე კი გამუდმებით ვამბობ: მოდით, ვიმსჯელოთ. სიტუაციაა ასეთი, ჩვენ ვიმყოფებით აქა და აქ, შეიძლება გავაკეთოთ ასე და ასე. შევაკავებთ თუ ვერ შევაკავებთ პროცესს? მოდით, ვიფიქროთ. არ მინდა, რომ ეს მსჯელობა დღეს დამთავრდეს. ჯერჯერობით ასე გამოგვდის: წარმოადგინეს „საქონელი" ზოგიერთებმა, წარმოადგინეს სხვებმა. მაგრამ წინ უნდა წავიდეთ — ერთმანეთის შესახვედრად. არ შეიძლება ყრუ ვიყოთ ერთმანეთისადმი. მაშასადამე, მოდით, ვიფიქროთ, რათა არ გაწყდეს ეს დიალოგი, აზრთა გაზიარება. მაშასადამე, არ არის საჭირო ამ დიალოგის, აზრთა გაზიარების გზებზე დავახვიოთ ახალი ხერგილები. გვეყოფა ისინი, რაც წინა ათწლეულებში დავახვიეთ. ძალზე ბევრი ჭკუა საჭირო, რათა გავწმინდოთ ეს ხერგილები, და მოდით, ნუ შეექმნით ახლებს.

ლიტვის სიტუაციას — ნუ გეწყინებთან, ასე მას სიმოკლისათვის ვუწოდებ, თუმცა ეს, რა თქმა უნდა, კარიბის კრიზისი არ არის, — ჰოდა, სიტუაციას, რომელსაც ჩვენ წავაწყდით, რესპუბლიკური კი არა, საერთო-პარტიული, საერთო-სახელმწიფო, საერთო-სახალხო მნიშვნელობა აქვს. საქმე ეხება ამ ქვეყნის ბედს, მის როლს, წონასა და ჩინაფიქრის რეალიზაციას, რომელსაც გარდაქმნა ვუწოდეთ. მხედველობაში უნდა ვიქონიოთ: ის, რასაც ლიტვის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის შედეგებთან დაკავშირებით წყვიტეს, მოხდა ქვეყნის ცხოვრების რთულ, მე ვიტყოდი, კრიზისულ მომენტში, რაც ყოდა თუ ვინ გამოვა გამოჯანმრთელებული ერთმანეთის წინააღმდეგ ბრძოლაში: ხალხის მზარდი მოძრაობა საზოგადოების რადიკალური გარდაქმნისათვის თუ ინერციის მექანიზმი, რომელიც აფერხებს პროგრესულ ცვლილებებს, როცა გარდაქმნის პროცესები ეს-ეს არის იწყებს მთელი ძალით განვითარებას, როცა ჩვენ გავედით სოციალიზმის თვით არსის და მისი განახლების ამოცანების გააზრების ახალ დონეზე, როცა ახლოს მივედით და ვიწყებთ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის რადიკალურ განახლებას. სოციალისტურ იდეებში ჩადებული ღირებულებების რეალიზაციის შესაძლებლობანი არასოდეს არ ყოფილა ისე დიდი, როგორიც დღეს არის. უბრალოდ შეუწყნარებელი კი არა — უდიდესი შეცდომა იქნებოდა, უთანხმოების, პოლიტიკური ამბიციებისა და ყოველგვარი სახის ცრურწმენების, აზროვნების, მოქმედების სტერეოტიპების გამო ხელიდან რომ გაგვეშვა ეს უნიკალური ისტორიული შანსი, რომელსაც გარდაქმნა გვაძლევს.

დღეს გარდაქმნას, შეიძლება ითქვას, ყველა უჭირს მხარს. ამ დღეებში აქ, ლიტვის მიწა-წყალზე, მოგვისმენთ მრავალი აზრი გარდაქმნის მხარდასაჭერად, კეთილად ამ დარბაზშიც. მოწინააღმდეგეები არ ყოფილან, არ გამოგვნია. მაგრამ, გულახდილად გითხრათ, წინათაც ამ დღეებშიც ამგვარი სახის განცხადებებს რომ ისმენ, ზვადი, რომ ერთსა და იმავე სიტყვებს კი ვამბობთ, მაგრამ მათში ზოგჯერ სხვადასხვა აზრს ვდებთ. თუ ამას თავი არ დავაღწიეთ, თავის დაღწევა კი შეიძლება მხოლოდ აზრთა გაზიარების, დიალოგის, შედარების, თანაც ინტენსიური შედარების საფუძველზე, — თუ ამ კარდინალურ საკითხში სიცხადე არ შევიტანეთ, სიტყვების ერთიანობის მიუხედავად შეიძლება ბოლომდე ვერ გავუგოთ ერთმანეთს, რამაც შესაძლოა გამოიწვიოს გადახრები გარდაქმნის პოლიტიკის რეალიზაციისათვის საერთო მუშაობის დროს. და ამას შეიძლება სერიოზული გართულებანი მოჰყვეს.

ამიტომ მინდა ვიმსჯელო თქვენთან ერთად გარდაქმნის დანიშნულებაზე. ეს საჭიროდ მიმაჩნია. და აი ამთავითვე მინდა ვთქვა, რომ პრინციპული, ფართო, ისტორიული თვალსაზრისით გარდაქმნა მიგვაჩნია საზოგადოების ავტორიტარულ-ცენტრალისტური მოდელიდან ჰუმანურ, დემოკრატიულ სოციალიზმზე გადასვლად, რომელიც სოციალურად ორიენტირებულია ადამიანზე. განა ამას შეუძლია გაგვაცალკევოს? ერთი ვერ ეუფლა მეორეს, რაც დამატებითს სიძნელეებს ქმნის.

(დასასრული 33-ე გვ.).

სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის

## ბრძანებულება

### მთიანი ყარაბაღის ავტონომიურ ოლქსა და ზოგიერთ სხვა რაიონში საგანგებო წესების გამოცხადების შესახებ

სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმი აღნიშნავს, რომ მიღებული ზომების მიუხედავად, აზერბაიჯანის სსრ მთიანი ყარაბაღის ავტონომიურ ოლქში და მის გარშემო ვითარება არათუ არ წესრიგდება, არამედ სულ უფრო უარესდება. მნიშვნელოვნად გააქტიურეს მოქმედება სხვადასხვა ნაციონალისტურმა და სეპარატისტულმა გაერთიანებებმა, რომლებიც ეწევიან წამქეზებლურ მუშაობას, წიხალმდეგობაში ითრევენ მოსახლეობის სულ უფრო ფართო ფენებს. ექსტრემისტულად განწყობილი დაჯგუფებები აწყობენ მასობრივ არეულობებს, პროვოკაციულად იწვევენ გაფიცვებს, აღვიძებენ ეროვნულ შუღლსა და მტრობას. ისინი ახორციელებენ თავხედურ დანაშაულებრივ აქციებს, ნაღმავენ გზებსა და ხიდებს, ცეცხლს უშენენ დასახლებულ პუნქტებს, იტაცებენ მძევლებს. მწვავდობიან დროს იზრდება ლტოლვილთა რიცხვი, რომლებსაც მოკლებული აქვთ ცხოვრებისა და მუშაობის ნორმალური პირობები, არის მსხვერპლი. ეს საბჭოთა ადამიანების, მთელი ჩვენი ხალხის შეშფოთებასა და დიდ აღშფოთებას იწვევს.

ამ რთულ ვითარებაში აზერბაიჯანისა და სომხეთის რესპუბლიკური ორგანოები, რესპუბლიკების ხელმძღვანელობა არ მოქმედებდნენ საკმაოდ მტკიცედ და თანმიმდევრულად, ვერ გამოიყენეს ყველა შესაძლებლობა, რათა გარდაეტეხათ შექმნილი სიტუაცია, მთელ რიგ შემთხვევებში დაჰყვნენ ექსტრემისტულად, ნაციონალისტურად განწყობილ ელემენტების ნებას. ამის შედეგად ბრკოლდება სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს გადაწყვეტილებათა შესრულება, გრძელდება დაძაბულობის ესკალაცია ეროვნებათშორის ურთიერთობის ნიადაგზე. ამას ხელი შეუწყვეს სომხეთის სსრ უზენაესი საბჭოს მიერ მიღებულმა აქტებმა მთიანი ყარაბაღის შესახებ, რომლებიც არ შეესაბამება სსრ კავშირის კონსტიტუციას.

ამჟამად განსაკუთრებით გამწვავდა ვითარება ქალაქებში ბაქოში, განჯასა და მთელ რიგ სხვა დასახლებულ პუნქტებში. სამშვიდოდ მკვლელობამდე, ძარცვამდე, საბჭოთა ხელისუფლების შეიარაღებული დამხობის, სსრ კავშირის კონსტიტუციით დაცვადირებული სახელმწიფო და საზოგადოებრივი წყობილების ძალადური შეცვლის ცდებამდე.

აღნიშნულთან დაკავშირებით და აზერბაიჯანის სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის მიმართვის გათვალისწინებით, ამასთან ხელმძღვანელობს რა სსრ კავშირის კონსტიტუციის 119-ე მუხლის მე-14 პუნქტით, სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

1. გამოცხადდეს საგანგებო წესები მთიანი ყარაბაღის ავტონომიური ოლქის, მის მიმდებარე აზერბაიჯანის სსრ რაიონების, სომხეთის სსრ გორისის რაიონის ტერიტორიაზე, აგრეთვე სასაზღვრო ზონაში აზერბაიჯანის სსრ ტერიტორიაზე სსრ კავშირის სახელმწიფო საზღვრის გაყოლებით.

2. სახელმწიფო ხელისუფლებისა და მმართველობის ორგანოებს; საამისოდ რწმუნებულ სხვა სახელმწიფო ორგანოებსა და თანამდებობის პირებს ამ ბრძანებულების I მუხლში დასახელებულ ადგილებში მიეცეთ უფლება გამოიყენონ შემდეგი ღონისძიებანი:

აკრძალონ კრებების, მიტინგების, ქუჩის მსვლელობების, დემონსტრაციების, აგრეთვე თეატრალურ-სანახაობითი, სპორტული და სხვა მასობრივი ღონისძიებების მოწყობა, კონტროლი გაუწიონ მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს;

შეაჩერონ ორგანიზაციებისა და მოქალაქეთა თვითმოქმედი გაერთიანებების კანონსაწინააღმდეგო საქმიანობა ან დაითხოვონ ისინი;

მიიზიდონ მოქალაქენი საწარმოებში, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში მუშაობისათვის, აგრეთვე საგანგებო გარემოებათა შედეგების ლიკვიდაციისათვის;

აკრძალონ გფიცვები;

შემოიღონ კომენდანტის საათი;

შეზღუდონ მოქალაქეთა გასვლა და შემოსვლა, დროებით გახიზნონ მოქალაქენი საცხოვრებლად საშიში რაიონებიდან, მისცენ მათ საცხოვრებლად სხვა შენობები; დაავალდებულონ მოქალაქენი, რომლებიც მოცემული ადგილმდებარეობის მცხოვრებნი არ არიან, დატოვონ იგი;

შეზღუდონ სატრანსპორტო საშუალებათა მიმოსვლა, მოაწესრიგონ და განახორციელონ მათი შემოწმება;

შემოიღონ დოკუმენტების შემოწმება, საჭიროების შემთხვევაში კი, თუ საკმარისი მონაცემები ექნებათ იმის შესახებ, რომ მოქალაქეებს აქვთ იარაღი და უარს ამბობენ ნებაყოფლობით წარმოადგინონ იგი, — პირადად შეამოწმონ მოქალაქენი, ნივთები;

დროებით ჩამოართვან მოქალაქეებს, საჭიროების შემთხვევებში კი საწარმოებს, დაწესებულებსა და ორგანიზაციებს ცეცხლსასროლი და ცივი იარაღი, ტყვიაწამალი, ასაფთქმელი ნივთიერებები და მასალები, ძლიერმოქმედი ქიმიური და შხამიანი ნივთიერებები;

შეზღუდონ ან აკრძალონ სამრავლებელი ტექნიკის, აგრეთვე რადიო და ტელეგადამცემი აპარატურის გამოყენება, შემოიღონ კავშირგაბმულობის გამოყენების საგანგებო წესები.

3. მოქალაქეებს კომენდანტის საათის დროს ეკრძალებათ ქუჩაში ან სხვა საზოგადოებრივ ადგილებში ყოფნა სპეციალურად დაცემული საშვებისა და დოკუმენტების გარეშე, რომლებიც ადასტურებენ პირადობას, ან თავიანი ბინის გარეთ ყოფნა უდოკუმენტებოდ, რომლებიც დაადასტურებენ მათ პირადობას.

4. საგანგებო გარემოებათა შედეგების ლიკვიდაციისათვის, მოქალაქეთა უფლებების, საზოგადოებრივი წესრიგისა და უშიშროების, მოსახლეობის ცხოვრებისმომქმედების ობიექტების დაცვისათვის კანონის შესაბამისად გამოიყენება სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს შინაგანი ჯარები. მოქალაქეების, მოსახლეობის ცხოვრებისმომქმედების ობიექტების დაცვისათვის გამოიყენება აგრეთვე საბჭოთა არმიის, სამხედრო-საზღვაო ფლოტისა და სსრ კავშირის სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის ჯარის ნაწილები. სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს შინაგანი ჯარები და საბჭოთა არმიის, სამხედრო-საზღვაო ფლოტისა და სსრ კავშირის სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის მიზიდული ჯარის ნაწილები მოქმედებენ სსრ კავშირის კონსტიტუციის საფუძველზე, ხელმძღვანელობენ კანონებით, წესდებებითა და ამ ბრძანებულებით.

5. პირები, რომლებიც პროვოკაციულად იწვევენ საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევას, ავრცელებენ პროვოკაციულ ხმებს ან აქტიურად უშლიან ხელს მოქალაქეებისა და თანამდებობის პირების მიერ თავიანთი კანონიერი უფლებებისა და მოვალეობების განხორციელებას, არღვევენ საგანგებო წესების რეჟიმს, შეიძლება დაკავებულნი იქნენ ადმინისტრაციული წესით 30 დღე-ღამემდე ვადით. ეს პირები შეიძლება მიეცნენ ადმინისტრაციულ ან სისხლის სამართლის პასუხისგებაში კანონის შესაბამისად.

6. ტრანსპორტის შეუფერხებელი მუშაობის უზრუნველყოფისათვის შემოღებულ იქნეს რკინიგზებისა და სხვა კომუნიკაციების დაცვა სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს შინაგანი ჯარების, საბჭოთა არმიისა და სსრ კავშირის სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის ძალების გამოყენებით.

7. წინადადება მიეცეს აზერბაიჯანის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს განახორციელოს საჭირო ღონისძიებანი, მათ შორის შემოიღოს კომენდანტის საათი ქალაქებში ბაქოში, განჯასა და სხვა დასახლებულ პუნქტებში. მოსახლეობის, საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების უსაფრთხოების უზრუნველყოფისათვის, იმ პირთა პასუხისმგებლობაში მიცემისათვის, რომლებიც დამნაშავენი არიან მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნების, მათ შორის „აზერბაიჯანის სს რესპუბლიკასა და სომხეთის სს რესპუბლიკაში საზოგადოებრივი წესრიგის დამყარების გადაუდებელ ღონისძიებათა შესახებ" სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის 1988 წლის 23 ნოემბრის ბრძანებულების (სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს უწყებანი, 1988 წ. № 47, მუხ. 712) მოთხოვნათა დარღვევაში.

მოეთხოვოს სომხეთის სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმს განახორციელოს ყველაზე გადამწყვეტი ღონისძიებანი, რათა აღკვეთოს ამ რესპუბლიკის ტერიტორიიდან წამქეზებლური მოქმედება, რომელიც აღვიძებს ეროვნებათშორის ვნებათაღელვასა და ეროვნულ მტრობას ორ ხალხს შორის.

საჭიროდ იქნეს მიჩნეული, რომ აზერბაიჯანის სსრ და სომხეთის სსრ უზენაესი საბჭოების პრეზიდიუმებმა და მინისტრთა საბჭოებმა თავიანთ სხდომებზე დაუყოვნებლივ განიხილონ ამ ბრძანებულების შესრულებისა და შექმნილი ვითარების დაძლევის პრაქტიკული ღონისძიებანი.

სსრ კავშირის სამართალდამცავმა და სხვა სახელმწიფო ორგანოებმა რესპუბლიკურ ორგანოებს გაუწიონ საჭირო დახმარება აღნიშნულ ღონისძიებათა განხორციელებაში.

8. ამ ბრძანებულების პირველი-მეშვიდე მუხლები ძალაში შედის 1990 წლის 15 იანვარს 23 საათიდან ადგილობრივი დროით და

# მ. ს. გორბაჩოვის სიტყვა

(დასასრული)

საქმე ხომ ტექნიკას, ძრავების სისტემას, კი არა, ცოცხალ ორგანიზმს ეხება, რომელიც მოიცავს ამდენ მილიონ ადამიანს თავიანთი ნებით, იმედებითა და გეგმებით, რეალური ინტერესებით. და აქ სავალვოა გამოიძებნონ — როგორც ხოგ-ზოგები გვპირდებიან — ადამიანები, რომლებიც საქმეს სრულიად უშეცდომოდ, უნაკლოდ წარმართავდნენ. ეს სისულელეა, ეს, თუ ლენინის ტერმინს ვიხმართ, — „უბრალო ხალხის მოტყუებაა“.

პროცესები ძნელად და რთულად წარიმართება. მაგრამ იმედია, რომ მათ შედეგად მოპყვება ღრმა ცვლილებები და ჩვენი საზოგადოების ახალი თვისება. მე ვიტყოდი, რომ ახლა ჩვენ, ისე როგორც არსებოდნა, გვქონდება საზოგადოების მთელი გარდამქმნელი პროგრესული ძალების კოხსოლიდაცია. რომ ვერავინ მოახერხოს მათი გათიშვა, მათი შესუსტება. მე უკვე ვთქვი, რათა სამართლის პოზიციებზე ვიყო, რომ ხარვეზები და შეცდომები დავუშვით. ამან გარკვეული დაბაკარგები მოგვიტანა როგორც ეკონომიკური, ისე პოლიტიკური გარდაქმნების პროცესში. ჩვენ ფავაწყდით სოციალურ დაძაბულობას. არის დესტაბილიზაციის გამოვლინებები, არის საზოგადოებრივი, სამეურნეო პროცესების შესუსტება. ყველაფერი ეს არის. მაგრამ ეს საეჭვოდ კი არ ხდის ჩვენს არჩევანს, არამედ მზოლოდ გვიკარნახებს, რომ უნდა ვიმოქმედოთ და კვლავ ვიმოქმედოთ, ისე რომ არ დავუბრუნდეთ ძველ მეთოდებს. მაგრამ ბევრია იმის მსურველი, რომ გამოიყენოს სიძნელეები და ყველაფერი უკან დააბრუნოს. მოქმედება კი საჭირო ისე, რომ მხოლოდ წინ ვიყუროთ, მტკიცედ წავწიოთ გარდაქმნის მთელი პროცესები.

ახლა ერთმანეთს ეჯახებიან გარდაქმნის მომხრეთა და მოწინააღმდეგეთა მთავარი ძალები. ვფიქრობ, რომ პრინციპული თვალსაზრისით იმათი პოზიციები, ვინც გარდაქმნის მომხრეა უფრო ძლიერია, იმიტომ, რომ საბოლოო ანგარიშით იგი შეესაბამება მთელი ხალხის ძირეულ ინტერესებს. მაგრამ ახლა არის საშიშრობა იმათ მხრივ, ვისაც უნდა ექსპლოატაცია გაუწიოს სიძნელეებს და დათესოს პანიკა, ამით კი ნებადტური დამოკიდებულება — გარდაქმნისადმი, საეჭვო გახადოს იგი საერთოდ, როგორც პოლიტიკა. ამას ყველაფერს იმიტომ ვამბობთ, რომ იფიქროთ, როგორიღაა თქვენი ადგილი და როგორ უნდა მოქმედოთ იმ პირობებში, როცა ქვეყანა, საზოგადოება ვანიცდის ასეთ მომენტს და როცა მთელი მსოფლიო თვალს ადევნებს, რა მოხდება საბჭოთა კავშირში.

ჩვენ არ გვქონია შესაძლებლობა დაგვესვა საკითხი გარდაქმნის დაჩქარების შესახებ — არ გვქონდა სათანადო მარაგნაკეთი: მეცნიერული ნამუშევრები, მიღებული კანონები, სამართლებრივი და სხვა წანამძღვრები. დღეს კი ასეთი მარაგნაკეთი ჩნდება, და უახლოეს თვეებში ჩვენ პრაქტიკულად მივიღებთ დიდ გადაწყვეტილებათა მთელ კომპექსს. კი კვეძლევეს საშუალებას პოლიტიკური და პრაქტიკული თვალსაზრისით დავსახოთ გარდაქმნის დაჩქარების რეალური ამოცანა. იმისათვის, რომ ახალ სისტემაზე გადასვლა იმ სისტემიდან, რომელსაც ვშორდებით, ნამოკლე იყოს, რომ გადასვლასთან დაკავშირებული მტკივნეულობა არ გაჭიანურდეს. რადგან შეიძლება საზოგადოებამ ამას ვერც გაუძლოს. მაშინ გაჩნდება სხვაგვარი, ამასთან, როგორც ყოველთვის, მარტივი და გაგებისათვის მეტად ხელმისაწვდომი „რეცეპტები“. ალარ იქნება საჭირო სიძნელეებს და დათესოს პანიკა, ამით კი ნებადტური დამოკიდებულება — გარდაქმნისადმი, საეჭვო გახადოს იგი საერთოდ, როგორც პოლიტიკა. ამას ყველაფერს იმიტომ ვამბობთ, რომ იფიქროთ, როგორიღაა თქვენი ადგილი და როგორ უნდა მოქმედოთ იმ პირობებში, როცა ქვეყანა, საზოგადოება ვანიცდის ასეთ მომენტს და როცა მთელი მსოფლიო თვალს ადევნებს, რა მოხდება საბჭოთა კავშირში.

ჩვენ არ გვქონია შესაძლებლობა დაგვესვა საკითხი გარდაქმნის დაჩქარების შესახებ — არ გვქონდა სათანადო მარაგნაკეთი: მეცნიერული ნამუშევრები, მიღებული კანონები, სამართლებრივი და სხვა წანამძღვრები. დღეს კი ასეთი მარაგნაკეთი ჩნდება, და უახლოეს თვეებში ჩვენ პრაქტიკულად მივიღებთ დიდ გადაწყვეტილებათა მთელ კომპექსს. კი კვეძლევეს საშუალებას პოლიტიკური და პრაქტიკული თვალსაზრისით დავსახოთ გარდაქმნის დაჩქარების რეალური ამოცანა. იმისათვის, რომ ახალ სისტემაზე გადასვლა იმ სისტემიდან, რომელსაც ვშორდებთ, ნამოკლე იყოს, რომ გადასვლასთან დაკავშირებული მტკივნეულობა არ გაჭიანურდეს. რადგან შეიძლება საზოგადოებამ ამას ვერც გაუძლოს. მაშინ გაჩნდება სხვაგვარი, ამასთან, როგორც ყოველთვის, მარტივი და გაგებისათვის მეტად ხელმისაწვდომი „რეცეპტები“. ალარ იქნება საჭირო სიძნელეებს და დათესოს პანიკა, ამით კი ნებადტური დამოკიდებულება — გარდაქმნისადმი, საეჭვო გახადოს იგი საერთოდ, როგორც პოლიტიკა. ამას ყველაფერს იმიტომ ვამბობთ, რომ იფიქროთ, როგორიღაა თქვენი ადგილი და როგორ უნდა მოქმედოთ იმ პირობებში, როცა ქვეყანა, საზოგადოება ვანიცდის ასეთ მომენტს და როცა მთელი მსოფლიო თვალს ადევნებს, რა მოხდება საბჭოთა კავშირში.

ამ კვირის მანძილზე ბევრი რამ გაირკვა. რა თქმა უნდა, ძირითადი მიზანი, როგორც მე მესმის, — იყო ერთმანეთისთვის გაგვეგო რაც შეიძლება მეტად, რაც შეიძლება უკეთ, რაც შეიძლება ყოველმხრივ. თუ ეს „მოვახერხეთ, ძალიან კარგია. თუ ვერ მოვახერხეთ, ცუდია. ვფიქრობ, რომ ყველაფრის გაგება არ მოხერხდა, მაგრამ ალბათ მოხერხდა ბევრი რამის გაგება, რაც ჩვენს რესპუბლიკაში ხდება. ჩვენ გვესმის სიტუაციის სირთულე ლიტვის კომპარტიაში და ამასთან დაკავშირებით საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიაში, მაგრამ რა გაეწყობა, ცხოვრება ასეთია. ჩვენც დიდხანს ვიფიქრეთ ყრილობის შემდეგ რა ნაბიჯების გადადგმა შეგვეძლო დამატებით, კიდევ რა შეგვიძლია გავაკეთოთ? როგორ შეიძლება უკეთესად გამოვხატოთ ჩვენი ზრახვები, ჩვენი გრძნობები? უფრო მეტი დაახლოებისა და ერთმანეთის გაგების შესაძლებლობანი. მაგრამ ვფიქრობ, რომ დრო თავისას იზამს, თავისას იზამს გარდაქმნაც, რომლის დროს მთელი ჩვენი ქვეყანა ყოველდღიურად მიაბიჯებს ერთი, კარგი მიმართულებით. ვერ ვიტყვით, რომ ამ გზით არ მიდის ჩვენი რესპუბლიკა. იგი მიდის ამ გზით, იქნებ ცოტათი განსხვავებული ნაბიჯით, იქნებ საკუთარი ნაბიჯით, იქნებ უფრო მოკლე ან უფრო გრძელი ნაბიჯებით ჩვენი ცხოვრების ზოგიერთ დარგში, მაგრამ ეს არის გარდაქმნა, ცოცხალი ცხოვრება.

მიზეიდო სერგის ძეო! თქვენ ჩვენთან ბრძანდებოდით 9 წლისა და 6 თვის წინათ. ახლა ისევ ჩამობრძანდით დიდ ჯგუფთან ერთად. თქვენ ყოველთვის იხსენებდით ლიტვას კარგი სიტყვებით: როგორ გაიზარდა, რამდენი რამ გაკეთდა ამ პატარა მხარეში. ყოველთვის იგონებდით ადამიანებს. მე მინდა, ვისარგებლო შემთხვევით და დღევანდელი საუბრის დამთავრებისა და რესპუბლიკაში თქვენს ყოფნასთან დაკავშირებით ვთქვა, რომ ამ თითქმის 10 წლის მანძილზე საბჭოთა ლიტვა კიდევ უფრო დამშვენდა, ჩვენს რესპუბლიკაში მცხოვრები ყველა ეროვნების ადამიანები — ლიტველებით დაწყებული, რომლებიც უმრავლესობას შეადგენენ, კიდევ უფრო უკეთესი გახდნენ. თუ რაღაც არ გვესმის, როცა მეორე ამბობს, უნდა შევეცადოთ გავიგოთ. ვფიქრობ, ეს არც ისეთი დაბრკოლებაა, რომ არ შეგვეძლოს მისი გადალახვა. ჩვენ ვართ და კვლავ ვიქნებით ოპტიმისტები.

მინდა გულითადი. მადლობა გადაგიხადოთ თქვენ, რაისა მაქსიმეს ასულს, ყველა აქ, ამ დარბაზში მყოფ ამხანაგს, მთელ ჯგუფს, რომელიც მთელი კვირის განმავლობაში იმყოფებოდა ჩვენთან. მადლობა გადავუხადო მუშაობისათვის, იმისათვის, რომ ამდენი დრო დაგვითმეს. იქნებ ქეჩეზიც, აქაც, სხვა დარბაზებშიც გაისმოდა უკიდურესი გამოთქმები, იყო უკიდურესი ლოზუნგები, პლაკატები როგორც ერთი, ისე მეორე მხრივ, რას იზამ ასეთია ცხოვრება. ვფიქრობ, რომ ლიტველი ხალხის მთავარი ნაწილი, ბირთვი მიდის სწორი გზით, იგი მიდის შეგნებულად და როცა ხალხი შეგნებულად მიდის, მე ვფიქრობ, იგი ყოველთვის მართალია. დიდი მადლობა ამხანაგებო. (ტაში).

**მ. ს. გორბაჩოვი:** მე თქვენ გეთხოვებით. მოდით ვიფიქროთ. თქვენც იფიქრეთ, ჩვენც ვიფიქრებთ, და, რაც მთავარია, მოდით, გადავწყვიტოთ ის უდიდესი ამოცანები, რომლებსაც ხელი მოვკიდეთ. სხვა გზა არა გვაქვს. ყოველივე სიკეთეს გისურვებთ! მინდა მადლობა გადავუხადო ლიტვის ყველა მშრომელს, ყველას, ვინც აქ ცხოვრობს — რუსებს, უკრაინელებს, ბელორუსებსა და ყველა სხვა ადამიანს — იმ ინტერესისათვის, რომელიც გამოიჩინეს ამხანაგებისა და პირადად ჩემი ჩამოსვლისადმი. ჩვენ ეს დავინახეთ — ისეთი ცხოველი დაინტერესება, მღელვარება და წუხილი. ადამიანებს სურდათ გაეგებინებინათ ჩვენთვის თავიანთი აზრები და მოსაზრებანი. და ჩვენ ვცდილობდით გულწრფელად გვესაუბრა მათთან. იმიტომ, რომ ხალხის წინაშე თვალთმაქცობა არ შეიძლება. შენი პოზიცია ისე უნდა ჩამოაყალიბო, როგორც ჭეშ გესმის. მადლობას ვუხდი ლიტვის ყველა მშრომელს იმ წვლილისათვის, რომელიც მან შეიტანა ამ დიდი, უდიდესი მნიშვნელობის საუბარში. გმადლობთ. (ტაში).

**კითხვა:** თქვენ საბჭოთა კავშირში ერთპარტიულ თუ მრავალპარტიულ სისტემას ემხრობით? რომელი მთგანი აძლევს უკეთეს გარანტიას დემოკრატიზაციის პროცესს?

**მ. ს. გორბაჩოვი:** მიმაჩნია, რომ ჩემს გამოსვლებში მე უკვე ვუპასუხე ამ კითხვებს. ყველაფერი უნდა განსაზღვროს პოლიტიკური პროცესის მიმდინარეობამ. არავითარ ტრაგედიად არ მიმაჩნია მრავალპარტიულობა, თუ იგი წარმოიშობა და შეესაბამება საზოგადოების რეალურ ინტერესებს. სხვათა შორის, რევოლუციის შემდეგ მთავრობას და სრულიად რუსეთის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს მრავალპარტიულ საფუძველზე ვაყალიბებდით. ასე ერთ. მეორეც, მრავალპარტიულობა პანაკეა არ არის. უმთავრესია დემოკრატია და საჯაროობა. და რეალური მონაწილეობა, ხალხის ჩაბმა ყველა პოლიტიკურ, საზოგადოებრივ პროცესსა და ინსტიტუტში. თუ არა ამ პარტიებს შეუძლიათ, როგორც იტყვიან, გაიცურონ, მოიტყუონ ხალხი თავისი პოლიტიკური თამაშით, დატოვონ იგი — ისტორიის მთავარი მოქმედი პირი — პოლიტიკური პროცესისა და რეალური სახალხო ხელისუფლების ფაგრეტის მიღმა, რაც ჩვენ, რაღა თქმა უნდა, არ შეგვფერის.

**ა. ბრაზაუსკასი:** პატივცემულო მხეიერ სერგის ძეო, პატივცემულო პოლიტბიუროს წევრებო, პატივცემულო სტუმრებო! დღეს თითქმის ოთხი საათის განმავლობაში გვქონდა ძალზე რთული, ძალზე დაძაბული საუბარი. ბევრ რამეში, მე ვიტყოდი, ერთმანეთისათვის გაუგებრიც კი. მაგრამ ბევრ რამეში გასაგები. აღარ მოვყვები იმ საყვედურებს, ეკვების გამეორებას, რომლებიც ეხება ჩვენი პატარა რესპუბლიკის ცხოვრებას, ჩვენს საქმეებს. რა თქმა უნდა, მთელ ჩვენ სახელმწიფოში მრავალი საკითხი და პრობლემაა. ჩვენ გვაქვს პრობლემებიც, რომლებიც შეესატყვისება საკავშირო-საც, სხვა პრობლემებიც, რომლებიც ჩვენთვისაა სპეციფიკური. ეგ საგებია, ასეც უნდა იყოს, ასეც არის.

ამ კვირის მანძილზე ბევრი რამ გაირკვა. რა თქმა უნდა, ძირითადი მიზანი, როგორც მე მესმის, — იყო ერთმანეთისთვის გაგვეგო რაც შეიძლება მეტად, რაც შეიძლება უკეთ, რაც შეიძლება ყოველმხრივ. თუ ეს „მოვახერხეთ, ძალიან კარგია. თუ ვერ მოვახერხეთ, ცუდია. ვფიქრობ, რომ ყველაფრის გაგება არ მოხერხდა, მაგრამ ალბათ მოხერხდა ბევრი რამის გაგება, რაც ჩვენს რესპუბლიკაში ხდება. ჩვენ გვესმის სიტუაციის სირთულე ლიტვის კომპარტიაში და ამასთან დაკავშირებით საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიაში, მაგრამ რა გაეწყობა, ცხოვრება ასეთია. ჩვენც დიდხანს ვიფიქრეთ ყრილობის შემდეგ რა ნაბიჯების გადადგმა შეგვეძლო დამატებით, კიდევ რა შეგვიძლია გავაკეთოთ? როგორ შეიძლება უკეთესად გამოვხატოთ ჩვენი ზრახვები, ჩვენი გრძნობები? უფრო მეტი დაახლოებისა და ერთმანეთის გაგების შესაძლებლობანი. მაგრამ ვფიქრობ, რომ დრო თავისას იზამს, თავისას იზამს გარდაქმნაც, რომლის დროს მთელი ჩვენი ქვეყანა ყოველდღიურად მიაბიჯებს ერთი, კარგი მიმართულებით. ვერ ვიტყვით, რომ ამ გზით არ მიდის ჩვენი რესპუბლიკა. იგი მიდის ამ გზით, იქნებ ცოტათი განსხვავებული ნაბიჯით, იქნებ საკუთარი ნაბიჯით, იქნებ უფრო მოკლე ან უფრო გრძელი ნაბიჯებით ჩვენი ცხოვრების ზოგიერთ დარგში, მაგრამ ეს არის გარდაქმნა, ცოცხალი ცხოვრება.

**ბ. ს. გორბაჩოვი:** ამ ეტაპზე ვართ, და ისეთ გადაწყვეტილებებს ვიღებთ, რომ არ უნდა შევცდეთ. ეს ძალზე ძვირად დაჯდება ჩვენს ხალხებს, სოციალიზმის მთელ საქმესა და მსოფლიოს ბედს. მე ამ თანამშრომლობის იმედი მაქვს. (ტაში).

• • •

**კითხვა:** თქვენ საბჭოთა კავშირში ერთპარტიულ თუ მრავალპარტიულ სისტემას ემხრობით? რომელი მთგანი აძლევს უკეთეს გარანტიას დემოკრატიზაციის პროცესს?

**მ. ს. გორბაჩოვი:** მიმაჩნია, რომ ჩემს გამოსვლებში მე უკვე ვუპასუხე ამ კითხვებს. ყველაფერი უნდა განსაზღვროს პოლიტიკური პროცესის მიმდინარეობამ. არავითარ ტრაგედიად არ მიმაჩნია მრავალპარტიულობა, თუ იგი წარმოიშობა და შეესაბამება საზოგადოების რეალურ ინტერესებს. სხვათა შორის, რევოლუციის შემდეგ მთავრობას და სრულიად რუსეთის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს მრავალპარტიულ საფუძველზე ვაყალიბებდით. ასე ერთ. მეორეც, მრავალპარტიულობა პანაკეა არ არის. უმთავრესია დემოკრატია და საჯაროობა. და რეალური მონაწილეობა, ხალხის ჩაბმა ყველა პოლიტიკურ, საზოგადოებრივ პროცესსა და ინსტიტუტში. თუ არა ამ პარტიებს შეუძლიათ, როგორც იტყვიან, გაიცურონ, მოიტყუონ ხალხი თავისი პოლიტიკური თამაშით, დატოვონ იგი — ისტორიის მთავარი მოქმედი პირი — პოლიტიკური პროცესისა და რეალური სახალხო ხელისუფლების ფაგრეტის მიღმა, რაც ჩვენ, რაღა თქმა უნდა, არ შეგვფერის.

**ა. ბრაზაუსკასი:** პატივცემულო მხეიერ სერგის ძეო, პატივცემულო პოლიტბიუროს წევრებო, პატივცემულო სტუმრებო! დღეს თითქმის ოთხი საათის განმავლობაში გვქონდა ძალზე რთული, ძალზე დაძაბული საუბარი. ბევრ რამეში, მე ვიტყოდი, ერთმანეთისათვის გაუგებრიც კი. მაგრამ ბევრ რამეში გასაგები. აღარ მოვყვები იმ საყვედურებს, ეკვების გამეორებას, რომლებიც ეხება ჩვენი პატარა რესპუბლიკის ცხოვრებას, ჩვენს საქმეებს. რა თქმა უნდა, მთელ ჩვენ სახელმწიფოში მრავალი საკითხი და პრობლემაა. ჩვენ გვაქვს პრობლემებიც, რომლებიც შეესატყვისება საკავშირო-



## გეგმა უთუოდ უნდა სრულდებოდეს

**ამ აქსიომურ ჭეშმარიტებას ივიწყებს რესპუბლიკის ხევრი ლითონჩამბარებელი ორგანიზაცია**

**შარშან** „კომუნისტი“ სისტემატურად აქვეყნებდა მასალებს რესპუბლიკაში მეორეული შავი ლითონის ჩაბარების მიმდინარეობის შესახებ. ვწერდით, რომ ჯართი აუცილებელია ჩვენი მანქანათმშენებელი და მეტალურგიული მრეწველობის საწარმოთა გამართული მუშაობისათვის. ამიტომაც არის, რომ მისი დაბადება სახელმწიფო შეკვეთაშია გათვალისწინებული, რომლის შესრულების მიმდინარეობას აკონტროლებენ ქვეყნის მასშტაბით სსრ კავშირის, ხოლო რესპუბლიკაში — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოები. სხვათა შორის, ამ უკანასკნელმა ყოველი დამდეგი თვის ხუთ რიცხვამდე ინფორმაცია უნდა წარუდგინოს საკავშირო მთავრობას ჯართის ჩაბარების მიმდინარეობის შესახებ. ხოლო რესპუბლიკის მთავრობის წინაშე ანალოგიური ანგარიშვალდებულება აკისრიათ ავტონომიური რესპუბლიკებისა და ოლქის, სახალხო დეპუტატთა საქალაქო და რაიონულ აღმასრულებელ კომიტეტებს.

აღნიშნული საკითხის დიდ მნიშვნელობას მიანიშნებს ისიც, რომ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, ავტონომიური ფორმირებებისა და ადგილობრივ სახალხო დეპუტატთა საბჭოებს დაავალა ყოველი ღონე იხმაროონ ჯართის ჩაბარების როგორც იანვარ-თებერვლის, ისე პირველი კვარტალის დავალებათა უთუო რეალიზაციისათვის.

აქ უთუოდ აღსანიშნავია ისიც, რომ თითოეული ტონა ჩაბარებული ჯართისათვის „მეორეულ შავლითონს“ რესპუბლიკური გაერთიანება მის ჩამბარებელ ორგანიზაციას საშუალოდ 25 მანეთსა და 70 კაპიკს უხდის, რაც ამ უკანასკნელთა ფინანსურ მაჩვენებლებზე დადებითად იმოქმედებს. ეს განსაკუთრებით საგულისხმოა ფვითანაზღაურებასა და თვითდაფინანსებაზე გადასული საწარმოდაწესებულებებისათვის.

ახლა, რაც შეეხება შარშანდელი გეგმის შესრულებას. მდგომარეობა აშკარად არადამაკმაყოფილებელია.

აფხაზეთის ავტონომიურმა რესპუბლიკამ შარშან სახელმწიფოს დააკლო 1800 ტონაზე მეტი ლითონი, აჯარისამ — 785, სამხრეთ ოსეთის ავტონომიურმა ოლქმა — 1100 ტონა.

ცუდად იმუშავეს თბილისელმა ლითონჩამბარებლებმაც. მაგალითად, აქაურმა, ლენინის რაიონმა სახელმწიფოს დააკლო 2600 ტონაზე მეტი, კალინინისამ — 165, კიროვისამ — 644, გლდანისამ — 446, ოქტომბრისამ — 153 ტონა მეორეული ლითონი.

ჩაბარების გეგმებს სისტემატურად შლიდნენ, სათანადო დასკვნებს არ აკეთებდნენ და ჩვენს კრიტიკულ გამოსვლებზე რეგიონებისაც არ ახდენდნენ მარნეულის, ახალქალაქის, ბოგდანოვკის, ბორჯომის, დუშეთის, ქარელის ლითონჩამბარებლები.

შარშან ცუდად იმუშავეს სხვა რაიონებშიც. მცხეთის რაიონში გეგმის შესრულებას დააკლეს 697, ოზურგეთში — 535, კასპში — 322 ტონა. საავტომობილო ტრანსპორტისა და გზების სამინისტრომ დააკლო — 1500, ადგილობრივი მრეწველობის სამინისტრომ — 280, სამშენის სახელმწიფო კომიტეტმა — 2200, საქსახაგრომრეწვის სისტემის ორგანიზაციებმა — 3500, ხოლო რესპუბლიკის კომკავშრომა — 4300 ტონა ჯართი.

გეგმის შესრულებისათვის ჯეროვნად არ ზრუნავდნენ ტყიბულის, ამბროლაურის, ასპინძის, ახმეტის, ყაზბეგის, ლენტეხის, მაიაკოვსკის, მესტიის, საგარეჯოს, თიანეთის, ხაშურის, წითელწყაროსა და ჩოხატაურის რაიონებშიც.

როგორც აღვნიშნეთ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ შავი ლითონის დამზადება (ჩაბარება) სახელმწიფო შეკვეთაში გაითვალისწინა. უკვე დაიწყო სათანადო ხელშეკრულებების გაფორმების სამუშაოები, რომლებიც პირველ მარტამდე უნდა დამთავრდეს. დაწყებით კი დაიწყო, მაგრამ ბევრ სამინისტროს, უწყებას, ტრესტს „მეორეულშავლითონის“ გაერთიანებაში არ წარმოუგენია 1990 წლისათვის ლითონის დამზადების გეგმის განაწილებები, რაც აბრკოლებს ქალაქებისა და რაიონების მიხედვით რესპუბლიკის საერთო გეგმის შედგენას. ფერხდება რესპუბლიკის იანვრის თვის გეგმის შესრულებაც.

ამასთან დაკავშირებით ლითონჩამბარებელმა ორგანიზაციებმა უნდა იცოდნენ, რომ ხელშეკრულების დაგვიანებით წარმოდგენის შემთხვევაში „მეორეულშავლითონის“ გაერთიანებას უფლება აქვს ორგანიზაციას ყოველი დაგვიანებული დღისათვის წარუდგინოს ჯარიმა 100-და 1000 მანეთამდე.

ამის თავიდან ასაცილებლად ნებისმიერი ლითონჩამბარებელი ორგანიზაცია ვალდებულია „მეორეულშავლითონში“ მიღებისთანავე დაუყოვნებლივ წარმოადგინოს ხელმოწერილი და ბეჭედდასმული (სათანადო რეკვიზიტების ჩვენებით) ხელშეკრულება.

იმ სამინისტროებისა და უწყებებინ, ქალაქებისა და რაიონების ხელმძღვანელებისაგან კი, რომლებმაც ჩაშალეს მეორეული შავი ლითონის ჩაბარების შარშანდელი გეგმები, ველოდებით შეტყობინებას იმის თაობაზე, თუ რას და როგორ აკეთებენ ისინი მდგომარეობის გამოსწორებისათვის.

**„კომუნისტის“ ეკონომიკის განყოფილება.**

## საშუალი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოში

**15 იანვარს** საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ნოდარ ჭითანავამ მიიღო ამერიკის კორპორაციის „სეიბი კორპორეიშნის“ ხელმძღვანელები მისი პრეზიდენტის დეივიდ სეიბის მეთაურობით. დელეგაციის შემადგენლობაში არიან კორპორაციის პირველი ვიცეპრეზიდენტი დეივიდ ტეილორი, ფირმა „სეიბი ინტერნეშნლის“ პრეზიდენტი ლორენ პული, განზაგის კათოლიკური უნივერსიტეტის რექტორი ბერნარდ კარგლინი, საბჭოთა კავშირ-ამერიკის ერთობლივი საწარმოს „სიეტლ-თბილისის“ გენერალური დირექტორის პირველი მოადგილე მარკ პრესლარი. ისინი საქართველოში ჩამოვიდნენ იმ მიზნით, რომ გამართონ მოლაპარაკება რესპუბლიკის მთელ რიგ სამინისტროებთან, უწყებებთან და ორგანიზაციებთან საქმიანი კავშირურთიერთობის შემდგომი გაფართოების საკითხებზე.

საუბრის დროს, რომელმაც საქმიან და მეგობრულ ატმოსფეროში ჩაიარა, კმაყოფილებით აღინიშნა, რომ სავაჭრო-ეკონომიკური, სამეცნიერო-ტექნიკური, კულტურული თანამშრომლობის სხვადასხვა დარგში ამერიკის შეერთებული შტატებისა და საქართველოს კავშირურთიერთობა მტკიცდება და ვითარდება. რეგულარული გახდა დელეგაციების გაცვლა. ჩვენს ხალხებს შორის მეგობრობისა და ურთიერთგაგების გამმტკიცების საქმეს ხელს უწყობს თბილისისა და ატლანტის პარტნიორული კავშირურთიერთობა. ამერიკის დელეგაციის ყოფნის დროს ხელმოწერილია შეთანხმება თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და გაზზის კათოლიკურ უნივერსიტეტს შორის თანამშრომლობის შესახებ.

ნოდარ ჭითანავამ ხაზგასმით აღნიშნა, რომ საქართველოს მთავრობა დიდ ყურადღებას უთმობს პირდაპირ კავშირურთიერთობას ამერიკის შეერთებულ შტატებთან და მზად არის ყოველნაირად შეუწყოს ხელი მის გაფართოებას.

დეივიდ სეიბმა ილაპარაკა მისი მეთაურობით კორპორაციის საქმიანობის შესახებ, რომელიც სამოქალაქო და სამეფენელო ობიექტების დაპროექტებასა და მშენებლობას ეწევა, აქვს ამერიკაში ყველაზე მოწინავე დიდად ტოქსიკური ინდუსტრიული ნარჩენების გადამუშავების ტექნოლოგია, საყოფაცხოვრებო ნაგვის მოსპობის უსაფრთხო ტექნოლოგია და ა. შ. სკ-ბაასი მიმდინარეობდა აგრეთვე თბილისში საქართველოს ეურნალისტთა კავშირის და ფირმა „სეიბი კორპორეიშნის“ მიერ შექმნილი საბჭოთა კავშირ-ამერიკის ნაბეჭდი პროდუქციის, სპორტული საქონლისა და ფართო მოხმარების საქონლის გამომშვები საწარმოს საქმიანობის შესახებ.

საუბრის დროს, განიხილეს სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოების, მრეწველობის, კაპიტალური შშენებლობის, რესპუბლიკაში ტურიზმისა და საკურორტო საქმიანობის განვითარების და სხვა დარგებში კოოპერაცია „სეიბისთან“ თანამშრომლობის პერსპექტივები.

საუბარში მონაწილეობდნენ საქართველოს ეურნალისტთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარე ნიკოლოზ ჩერქეზიშვილი, საბჭოთა კავშირ-ამერიკის საწარმოს „სიეტლ-თბილისის“ გენერალური დირექტორი მერეიდ უზნაძე, ბათუმის საბაჟოს უფროსი ოლეგ გალოგრე. (საქინფორმი).

## ლიტვის უზენაესი საბჭოს სესია

**ვილნიუსი.** 15 იანვარი. (საკადესის კორ.). საორგანიზაციო საკითხით დაიწყო დღეს მუშაობა რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს სესიამ. დეპუტატებმა დაკმაყოფილეს ლიტვის სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ვ. ასტრაუსკასის განცხადება თანამდებობიდან მისი განთავისუფლების შესახებ. სამი კანდიდატურიდან ხმის უმრავლესობით ამ პოსტზე არჩეულია ლიტვის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ა. ბ. ბრაზაუსკასი.

რეფერენდუმის შესახებ შარშან ნოემბერში მიღებული კანონის თანახმად, ლიტვის უზენაეს საბჭოში წარმოდგენილი იყო მოქალაქეთა 300 ათასზე მეტი, ესე იგი საჭირო რაოდენობის ხელმოწერა, რომლებმაც მხარი დაუჭირეს რეფერენდუმის მოწყობას სამხედრო მოსამსახურეებისათვის, რომლებიც არ არიან რესპუბლიკის მუდმივი მცხოვრებლები, ლიტვის სსრ უზენაესი საბჭოს და ადგილობრივი საბჭოების დეპუტატთა არჩევნებზე კენჭისყრაში მონაწილეობის უფლების მინიჭების საკითხზე. დეპუტატებმა მიიღეს „მოქალაქეობის შესახებ“ და „რეფერენდუმის შესახებ“ კანონების შესწორებანი. საერთო საფუძველზე არჩევნებში მონაწილეობის უფლება ახლა მინიჭებული აქვთ სამხედრო მოსამსახურეებს, რომლებიც მუქმედი კანონების შესაბამისად ცნობილი არიან რესპუბლიკის მოქალაქეებად. ამიტომ რეფერენდუმი ამ საკითხზე არ მოეწყობა.

სესიამ მიიღო დადგენილება რეგისტრაციაში არ გაატაროს და ბათილად ცნოს ლიტვის სს რესპუბლიკის ტერიტორიაზე „სსრ კავშირში კონსტიტუციური ზედამხედველობის შესახებ“ სსრ კავშირის კანონი, აგრეთვე სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილება „სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის გამგებლობაში სსრ კავშირის შემნახველი ბანკის გადაცემის შესახებ“.

განიხილეს აგრეთვე რესპუბლიკის სახელმწიფო და საზოგადოებრივი ცხოვრების სხვა საკითხები.

ამით სესიამ მუშაობა დაამთავრა.

# დაასახელეს დეპუტატობის კანდიდატები

**გრძელდება საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატთა დასახელება**

**დეპუტატობის** კანდიდატებად დასახელებული არიან:

საგარეჯოს სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს აღმასკომის სახალხო განათლების განყოფილების გამგე **ნუგზარ სტრატილატის ძე ჯინჭარაძე** — საგარეჯოს №1 საშუალო სკოლის შრომითი კოლექტივისაგან.

ქ. თბილისის ლენინის რაიონის პროკურორი **სიმონ ვახტანგის ძე მაკავარიანი** — საქართველოს სსრ იურისტთა კავშირისაგან.

ჯანმრთელობის დაცვის სამეურნეოანგარიშიან დაწესებულებათა რესპუბლიკური სამმართველოს უფროსი **რევაზ სავლეს ძე სონელიძე** — სამმართველოს შრომითი კოლექტივისაგან.

საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს პ. სარაჯიშვილის სახელობის კლინიკური და ექსპერიმენტული ნევროლოგიის ინსტიტუტის დირექტორი **რომან რომანის ძე შაქარიშვილი** — ინსტიტუტის შრომითი კოლექტივისაგან.

საქართველოს კომპარტიის თბილისის ლენინის რაიკომის პირველი მდივანი **კარლო ვახტანგის ძე ბუჯაბაძე** — „საკტელეფონმშენის" ტრესტის თბილისის სამშენებლო-სამონტაჟო სამმართველოს შრომითი კოლექტივისაგან.

სსრ კავშირის სტატისტიკის აღრიცხვისა და სტატისტიკის ხელმძღვანელ მუშაკთა და სპეციალისტთა კვალიფიკაციის ამაღლების სადარგთაშორისო ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის დირექტორი **იაკობ ეგნატეს ძე მეხნია** — ფილიალის შრომითი კოლექტივისაგან.

თბილისის სატვირთო ავტოტრანსპორტის საწარმოო გაერთიანების გენერალური დირექტორი **გურამ გერმანეს ძე გოგიჩაიშვილი** — გაერთიანების შრომითი კოლექტივისაგან.

საქართველოს სსრ საბინაო-კომუნალური მეურნეობისა და მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტროს ტრიკოტაჟის ფაბრიკის მქსოველი **ლილი იოსების ასული ლოლაშვილი** — ფაბრიკის შრომითი კოლექტივისაგან.

თბილისის პირველი მაისის სახელობის სამკერვალო ფაბრიკის დირექტორი **ვალიკო თომას ძე ბეგიძე** — ფაბრიკის შრომითი კოლექტივისაგან.

რესპუბლიკური საწარმოო გაერთიანების „საკრემყოფტექნიკის" გენერალური დირექტორის მოადგილე **ზაურ სპირიდონის ძე ზაქარეიშვილი** — გაერთიანების შრომითი კოლექტივისაგან.

სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს მოსკოვის მილიციის უმაღლესი სკოლის თბილისის ფაკულტეტის უფროსი **გივი შალვას ძე კვანტალიანი** — ამ ფაკულტეტის კოლექტივისაგან.

საქართველოს კომპარტიის წალკის რაიკომის მეორე მდივანი **ვალენტინ სიმონის ძე კოტანოვი** — წალკის მეთესლეობის საბჭოთა მეურნეობის შრომითი კოლექტივისაგან.

წალკის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე **შოთა ნოეს ძე სახაბაძე** — წალკის რაიონის რეხისა და ხანდოს საბჭოთა მეურნეობების შრომითი კოლექტივებისაგან.

საქართველოს კომპარტიის წალკის რაიკომის მდივანი **ტელმან მიქაელის ძე საკაია** — წალკის რაიონის თიკილისის მერძევეობა-მეკარტოფილეობის საბჭოთა მეურნეობის შრომითი კოლექტივისაგან.

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრის გამგე **ნაზი პაუსენის ასული მიქელაძე** — სრულიად საქართველოს რუსთაველის საზოგადოების ბათუმის საქალაქო ორგანიზაციისაგან.

საქართველოს კომპარტიის ბორჯომის რაიკომის საორგანიზაციო განყოფილების გამგე **ალექსი ელიზბარის ძე ბერიძე** — ბორჯომის რაიონის ახალდაბის ავეჯის ფაბრიკის შრომითი კოლექტივისაგან.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი **ბონდო სერგანოზის ძე ჯიქია** — ზუგდიდის რაიონის სოფელ ჭაქვინჯის კოლმეურნეობის რწმუნებულთა კრებისაგან და აბასთუმნის ტუნგის საბჭოთა მეურნეობის შრომითი კოლექტივისაგან.

თეთრი წყაროს მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობის დირექტორი **მიხეილ სიმონის ძე ჯორჯაიშვილი** — საბჭოთა მეურნეობის შრომითი კოლექტივისაგან.

საქართველოს სსრ სახაგრომრეწვის სამრეწველო-სავაჭრო ფირმის „სამეზის" გენერალური დირექტორი **ნოდარ აბოს ძე ხვთისიაშვილი** — ფირმის შრომითი კოლექტივისაგან.

საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს აკადემიკოს კ. ერისთავის სახელობის ექსპერიმენტული და კლინიკური ქირურგიის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტის დირექტორი **ვახტანგ ეგნატეს ძე ფიფია** — ზუგდიდის რაიონის ანაკლიის ექსპერიმენტული მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობის შრომითი კოლექტივისაგან.

ზესტაფონის ცენტრალური რაიონული აფთიაქის გამგე **ვახტანგ მამიას ძე ქავთარაძე** — აფთიაქის შრომითი კოლექტივისაგან.

ზესტაფონის რაიონის საავადმყოფო-პოლიკლინიკების გაერთიანების მთავარი ექიმი **თამაზ ვალერიანის ძე ბეჟუაშვილი** — ზესტაფონის ცენტრალური რაიონული საავადმყოფოს შრომითი კოლექტივისაგან.

საქართველოს საზღვაო სანაოსნოს უფროსი **ჯემალ კონსტანტინეს ძე ჭიღვარია** — ბათუმის საზღვაო სავაჭრო ნავსადგურის შრომითი კოლექტივისაგან. რუსთაველის საზოგადოების სანაოსნოს საქართველოს საზღვაო სანაოსნოს ორგანიზაციისაგან.

საქართველოს მწერალთა კავშირის აპარის განყოფილების პასუხისმგებელი მდივანი **ფრიდონ ინგოს ძე ხალვაში** — ბათუმის პუერის მიმღები საწარმოს შრომითი კოლექტივისაგან.

ცეკავშირის გამგეობის თავმჯდომარე **რესან ბახანის ძე კონცელიძე** — ბათუმის მეთევზეთა კოოპერატივის შრომითი კოლექტივისაგან.

ბათუმის ნ. ბერძენიშვილის სახელობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მეცნიერი თანამშრომელი, საქართველოს სახალხო ფრონტის ბათუმის რეგიონალური ორგანიზაციის თავმჯდომარე **დავით ვალერიანეს ძე ბერძენიშვილი** — აჭარის სახლთმშენებლობის საკრედიტო ბიუროს შრომითი კოლექტივისაგან.

საქართველოს კომპარტიის ბათუმის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი **ალექსანდრე შოთას ძე ახვლედიანი** — ბათუმის ქიმიური ქარხნის შრომითი კოლექტივისაგან.

შუახევის რაიონის სოფელ უჩამბის საავადმყოფოს მთავარი ექიმი **გურამ ალისულთანის ძე ცინარიძე** — საავადმყოფოს შრომითი კოლექტივისაგან.

საქართველოს კომპარტიის ვანის რაიკომის პირველი მდივანი **ნოდარ ონანიმის ძე ანდრიაძე** — ვანის რაიონის სოფელ საპრასიის კოლმეურნეობის შრომითი კოლექტივისაგან.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის არქეოლოგიური კვლევის ცენტრის ხელმძღვანელი **ოთარ დავითის ძე ლორთქიფანიძე** — ვანის სახელმწიფო არქეოლოგიური მუზეუმ-ნაკრძალის კოლექტივისაგან.

კულტურის მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარე **სპარტაკ ვალერიანის ძე ბატაშვილი** — ამ კომიტეტის პლენუმისაგან.

(საქინფორმი).


# უკსოფოლი

საქართველო საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა

16 იანვარი


ეძო

## ფედერაციის განახლებისათვის

**საზღვარგარეთის მასობრივი ინფორმაციის საშუალებანი ფართოდ აშუქებენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის მ. ს. გორბაჩოვის ვიზიტს სს რესპუბლიკაში. ვაზუთები, რადიო და ტელევიზია დიდ ყურადღებას მიაპყრობენ საბჭოთა ხელმძღვანელის გამონათქვამებს, რომლებითაც მან ცილნიუსში მხარი დაუჭირა მოკავშირე რესპუბლიკების ფედერაციის განახლებას, გააკრიტიკა სეპარატისტთა პოზიციები.**

**ლონდონი.** „ფაინენშლ ტაიმსი" აღნიშნავს, რომ საბჭოთა ხელმძღვანელმა ლიტველებს მოუწოდა ერთხელ კიდევ დაფიქრდნენ და დარჩნენ ფედერაციის შემადგენლობაში. „დეილი ტელეგრაფი" განმარტავს მ. ს. გორბაჩოვის იმ განცხადებას, რომ მომზადების სტადიაშია მოკავშირე რესპუბლიკების თვითგამორკვევის, ამასთან სსკ კავშირისაგან გამოყოფის უფლების რეალიზაციის მექანიზმის კანონპროექტი, და ასეთი დოკუმენტის შემუშავებას უწოდებს „ყველაზე გადგეულ სვლას ეპოქალური ცვლილებების ოთხი წლის მანძილზე" საბჭოთა კავშირში და „გარდაქმნის პოლიტიკის ამსოლუტურად ლოგიკურ განგრძობას".

„პრეზიდენტმა მ. ს. გორბაჩოვმა, — წერს გაზეთი **„მორნინგ სტარი"**, — უპასუხა ლიტველ ნაციონალისტთა არგუმენტებს მოწოდებით დიალოგისაკენ და არა კონფრონტაციისაკენ".

**ვაშინგტონი.** „როგორც ამერიკის შეერთებული შტატების ადმინისტრაციის წარმომადგენლებმა განაცხადეს, — წერს **„ნიუ იორკ ტაიმსი"**, — ლიტვასა და სხვა ბალტიისპირა სახელმწიფოებში დამოუკიდებლობის მოსაპოვებლად მიმდინარე მოძრაობა საჩოთირო მდგომარეობაში აყენებს შეერთებულ შტატებს. ადმინისტრაცია იმედოვნებს, რომ გორბაჩოვი შეძლებს შეიმუშაოს მისაღები გადაწყვეტილება, თუნდაც ეს არ ნიშნავდეს სრულ დამოუკიდებლობას. ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტ ბუშს დიდი იმედი აქვს, რომ განავითარებს ურთიერთობას საბჭოთა ხელმძღვანელთან". „გორბაჩოვმა გაიხადა კამპანია საბჭოთა კავშირის მთლიანობის შესანარჩუნებლად და იგი პირადად არწმუნებდა ადამიანებს ამის საჭიროებაში", — აღნიშნავს „ნიუ-იორკ ტაიმსის" მოსკოველი კორესპონდენტი. გაზეთის სარედაქციო სტატიის ავტორი მ. ს. გორბაჩოვს უწოდებს „ძლიერ ლიდერს, რომელიც გაუბრის ძალის პოზიციიდან მოგმედებას", და აღნიშნავს, რომ „დასავლეთს შეუძლია მხოლოდ მიესალმოს პრეზიდენტ გორბაჩოვისა და ლიტველების მისწრაფებას პოლიტიკური გადაწყვეტის მისაგნებად".

ვილნიუსიდან გადმოცემული რეპორტაჟში ეი-ბი-სის კორესპონდენტი იუწყება, რომ ლიტველები ყველაფერში როდი ეთანხმებოდნენ გორბაჩოვს, მაგრამ მიუხედავად ამისა მიესალმებოდნენ მას. ტელეკომპანიის შიმონ ხილეველი ამტკიცებს: „ლიტველები ვარაუდობენ, რომ მ. ს. გორბაჩოვის მიერ შემოთავაზებული „გაყრის კანონი" მხოლოდ დროის მოგების ცდაა. შეიძლება მთელი წლები გავიდეს, ვიდრე ასეთ კანონმდებლობას მიიღებენ. ამასობაში კი, როგორც აქ ფიქრობენ, გორბაჩოვს იმედი აქვს, რომ მიაღწევს პროგრესს ეკონომიკაში და დამოუკიდებლობის მოთხოვნები თანდათან მაცხრება".

**ვარშავა.** „გაზეტა ვიბორჩა" წერს, რომ ლიტვაში მ. ს. გორბაჩოვის მოგზაურობის დროს მთავარი ის იყო, რომ იგი ნათლად და დასაბუთებულად მიიჩნევს ლიტველთა უფლებებს, მათ მორის, სსრ კავშირიდან გასვლის უფლებას.

**პარიზი.** ტფ-1 ტელეკომპანია აღნიშნავს, რომ ლიტვაში ყოფნისას საბჭოთა ხელმძღვანელმა გამოიყენა ყველა შესაძლებლობა ადამიანებთან უშუალო დიალოგისათვის. ტელეკომპანიამ გადასცა საფრანგეთის თავდაცვის მინისტრის ჟ.-ბ. შევენემანის გამოსვლა, რომელმაც მაღალი შეფასება მისცა მ. ს. გორბაჩოვის საქმიანობას და უწოდა მას „ძალზე ძლიერი ადამიანი, რომელიც სპობს სიცრუეს სახელმწიფო დონეზე და გზას უხსნის რეალობებს".

**ვატიკანი.** „საბჭოთა პრეზიდენტმა მთლიანად დაუჭირა მხარი ადამიანებთან გულახდილი და დაძაბული დიალოგის იდეას, რომლებიც დიდი მეზობლისაგან დამოუკიდებლობისათვის იღვწიან,— ხაზგასმით აღნიშნა ვატიკანის რადიოს წამყვანმა. ამაზე მ. ს. გორბაჩოვმა უპასუხა მოწოდებით იმოქმედონ გონივრულად, ორმხრივი ნდობის ვითარებაში, და, რაც მთავარია, არ აჩქარდნენ. ვინაიდან აჩქარებამ შეიძლება ჩაკლას გარდაქმნა და დაანგრიოს ის, რაც მან შექმნა. გორბაჩოვის მიმართვა ლიტველებისადმი დამაჯერებლად ეტყვის: თუ შევინარჩუნეთ პოლიტიკური გადაწყვეტების ნიადაგი, მაშინ სხვა პრობლემებსაც გადაწყვეტთო".

● **იაპონია**

## იკვეცება შეზღუდვები

**ტოკიო.** **იაპონიამ მიიღო გადაწყვეტილება მიაღწიოს პოლონეთისა და უნგრეთის მიმართ სოციალისტურ ქვეყნებში ექსპორტისადმი კონტროლის კომიტეტის მკაცრ შეზღუდვათა შერბილებას.** ამას იუწყება გაზეთი „იომიური", რომელიც იმოწმებს მთავრობის ერთ-ერთი ოფიციალური წარმომადგენლის განცხადებას, რომელიც ამ დღეებში პრემიერ-მინისტრს ტოსიკი კაიფუს ახლდნენ ევროპის მთელ რიგ სახელმწიფოებში მოგზაურობის დროს. როგორც მოელიან, ამ საკითხს იაპონიის დელეგაციის აღძრავს კომიტეტის მორიგი სხდომის დროს, რომელიც მიმდინარე წლის თებერვალში უნდა გაიმართოს პარიზში.

ახლანდელი ნაბიჯის საფუძველი გახდა, აღნიშნავს გაზეთი, ტოკიოს სერიოზული შეშფოთება იმის გამო, რომ სოციალისტურ ქვეყნებში ექსპორტისადმი კონტროლის კომიტეტის წესებმა, რომელიც კრძალავენ სოციალიზმის ქვეყნებში ეგრეთ წოდებული „სტრატეგიული საქონლის" მიწოდებას, შეიძლება ხელი შეუშალოს პოლონეთთან და უნგრეთთან ეკონომიკური თანამშრომლობის მთელი რიგი პროექტების განხორციელებას. იაპონიამ უკვე გამოაცხადა, რომ გადაწყვეტილი აქვს ამ ორ ქვეყანას მისცეს შეღავათიანი სესხი — თითოეულს 500 მილიონი დოლარი.

● **გდრ**

## ნეონაცისტთა გამოსვლა

**ბერლინი.** **გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის დედაქალაქის ცენტრში შენობებისა და ვიტრინების საღებავით გათხუპნული კედლები ნეონაცისტთა „საქმიანობის" ახალი კვალია.** როგორც ადნის საგაზეტო იუწყება, ქალაქის ცენტრში წითელი რატუშისა და სატელევიზიო კოშკის ნაგებობების გვერდით ალექსანდერპლატცზე შაბათს ღამით შანენ დაეშინათ საპასუხო ცეცხლი. მეორე შემოტევის დროს დაიჭრა შტურმანი, უფროსი ლეიტენანტი ნ. პავლოვი, დაიცხრილა ბენზინის ავზი და მთელი მანქანა. მეთაურმა მიიღო გადაწყვეტილება — ჯგუფი გადამსხდარიყო სომხურ სოფელ ახადში. იგი გამაგრდა ამ დასახლებულ პუნქტში.

გავიარე სოფელში. მსხვილკალიბრიანი ტყვიამფრქვევის ტყვიებით დაცხრილული სახლები, გაკულეტილი კიოსკი, ბოძი — და სისხლის ტბა მის ქვეშ, გვერდით კი ლითონის ჯართის გროვა. ეს არის ის, რაც დარჩა „ეგზულებისაგან", რომლებითაც მეეგზავრებოდა შინაგანი ჯარების ოთხი სამხედრო მოსამსახურე. ასეთია მიტაცებული ჯავშანტრანსპორტიორის საქმიანობის შედეგი.

ღამემ მღელვარედ ჩაიარა. საპირისპირო მხრიდან გამუდმებით უშვებდნენ რაკეტებს, გრუხუნებდნენ საბრძოლო მანქანები. გადმოსხმულ სამხედროთა ჯგუფმა მიიღო მაშველი ძალა ოთხი ვერტმფრინავით, შემდეგ, ექვსით.

მდგომარეობა ამ საბრძოლო ზონაში — ასე შეიძლება ვუწოდოთ ორკილომეტრიან მანძილს სომხურ სოფელ ახადსა და აზერბაიჯანულ სოფელ აჯიკენდს შორის — უაღრესად დაძაბულია. შეიარაღებული შეტაკება მოსალოდნელია ყოველ წუთს.

ამ დღეებში, როცა ცეცხლის ალშია გახვეული აზერბაიჯანი და ბობოჭარობს სომხეთი, როცა სამშენელი გახდა ორი ხალხის შეხება აზერბაიჯანის სსრ შაუმიანისა და ხანლარის რაიონებში, ბაქოში გამოაცხადეს, რომ შეიქმნა ეროვნული თავდაცვის კომიტეტი, ეროვანში — ეროვნული ხსნის შტაბი. რა არის ეს — სამოქალაქო ომის გზაზე ჯერჯერობით ასეთია იმის შედეგი, რომ ორი წელია ჭიანურდება „ყარაბაღის პრობლემის" გადაჭრა.

— საგანგებო ვითარება საგანგებო ღონისძიებებს მოითხოვს. მშვიდობისათვის მოწოდება უკვე აღარ მოქმედებს, — უთხრა საკდესის კორესპონდენტს სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს ოპერატიული ჯგუფის ხელმძღვანელის მოადგილემ, მილიციის პოლკოვნიკმა ა. სოლოდოვნიკოვმა. — მშვიდობისათვის არა მარტო უნდა მოვუწოდოთ, არამედ გიცავდეთ მას — ყველა შესაძლო ღონისძიებით.


# ისეთი სიწყნარე იყო,

## ანუ დაუმთავრებელი რეპორტაჟი წინასაარჩევნო კამპანიიდან


**თბილისი,** საბურთალოს რაიონში, ბახტრიონის 64-ე საარჩევნო ოლქში ერთი შეხედვით იქნება არც ისე განსაკუთრებული, მაგრამ უსიამოვნო ინციდენტი მოხდა: ქუჩაში მიმავალმა ახალგაზრდების ჯგუფმა, რომელიც, როგორც ჩანდა, რომელიღაც მიტინგზე მიიჩქაროდა, ძირს ჩამოაგდო შენობის შესასვლელთან გაკეთებული საარჩევნო ოლქის აღმნიშვნელი წარწერა.

რაღა თქმა უნდა, წარწერის აღდგენა რაიმე პრობლემასთან არ იყო დაკავშირებული და მალე აღადგინეს კიდეც.

მთავარი ეს როდია. საქმე ის გახლავთ, რომ ინციდენტი, რომლის გამართლება, ცხადია, ვერანაირი მოტივით ვერ ხერხდება, ერთხელ კიდევ ცხადყოფს, რომ რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დეპუტატთა არჩევნებისათვის სამზადისი ძალზე არაორდინალურ, განსაკუთრებულ ვითარებაში მიმდინარეობს. ყველასათვის ცნობილია, რომ ახლა, მიზეზთა გამო, ჩვენს რესპუბლიკაში, კერძოდ, მის დედაქალაქში დაძაბულია საზოგადოებრივ-პოლიტიკური ვითარება. ჩვენს გარშემო, მართლაც რომ, დუღს ენებები. ხოლო ასეთ დროს, როგორც მოსწრებულად შენიშნა ერთმა ჩვენმა ცნობილმა მწერალმა, ხშირად ჭეშმარიტება ორთქლდება ხოლმე. ეს კი არავის სასიკეთოს არაფერს პირდება განსაკუთრებით მაშინ, როცა საქმე რესპუბლიკაში ხელისუფლების უმაღლესი ორგანოს არჩევნებს ეხება.

ჩვენში ხომ ახლა ყველა წინაპირობაა ეს უაღრესად მნიშვნელოვანი კამპანია დემოკრატიული, ცივილიზებული ქვეყნებისათვის შესაფერისი წესითა და რიგით წარიმართოს და სამშობლოს ბედიღბალი, ასე რომ აფორიაქებს ყოველ ჩვენგანს, ყველაზე ღირსეულ ადამიანებს მივანდოთ.

ამაზე ღირს ალბათ კიდევ ერთხელ დაფიქრება. განსაკუთრებით არ აწყენს ეს იმ ახალგაზრდებს, რომელთაც რატომღაც ჰგონიათ, რომ თუ არჩევნებს ზურგს აქცევენ და მის მიმართ თავიანთ დამოკიდებულებას საარჩევნო კამპანიასთან დაკავშირებული წარწერების ხელყოფითაც კი გამოხატავენ, ამით დიდ სამსახურს გაუწევენ შშობელ ქვეყანას.

ახლა შესაფერისთვის ეს ვფიქროთ და იმედი ვიქონიოთ, რომ ვნებები თანდათან დაცხრება და არჩევნებზე ნამდვილი დემოკრატია იზეიმებს. საამისოდ კი დიდი, სერიოზული მუშაობა მართებთ ახლად შექმნილ საარჩევნო კომისიებს, საზღვნო დეპუტატთა ადგილობრივ საბჭოებს, საზოგადოებრივ ორგანიზაციებს და, საბოლოო ჯამში, ყოველ ამომრჩეველსაც.

როგორც იქნა, ვეღირსეთ და წარსულს ბარდება საარჩევნო კომისიების ბუტაფორიული როლი, ამომრჩეველთა გულგრილობა და ინდიფერენტული განწყობილება.

თუმცაღა ნათქვამი იმას სულაც არ ნიშნავს, რომ საქმე გულს დასაარხეინებლად გვაქვს, აქაოდა, რაკი შევიმუშავეთ, დავადგინეთ, დავამტკიცეთ დემოკრატიული არჩევნებისათვის აუცილებელი კანონები და დებულებები, დანარჩენი თავისთავად მოგვარდება.

აგერ, სულ ცოტა ხნის წინ ცენტრალური პრესა იუწყებოდა, შუა აზიის რესპუბლიკებსა და თვით უკრაინაში მიმდინარე საარჩევნო კამპანია ცხადყოფს, რომ ბევრგან არჩევნები ისევ ძველებურად დუნედ და უინტერესოდ ეწყობა, ბოკვაევ ამომრჩეველთა ინიციატივას, ბიუროკრატიულ-ადმინისტრაციული სისტემა თავისას ბრ თმობასო და ასე შემდეგ.

ჰოდა, ასეთ დროს ჩვენ კი ვართ ყოველივე ამისაგან დაზღვეულნი?

აი, თუმცა თბილისის საბურთალოს რაისაბჭოს აღმასკომის საორგანიზაციო განყოფილების გამგე ლეონ კვინკაძე დარწმუნებულია, რომ რაიონში არჩევნები უთუოდ და უთუმცაოდ წარიმართება სრული დემოკრატიის, „ზვედან ყოველგვარი დაწოლის გარეშე".

საბურთალოს რაიონში დეპუტატობის კანდიდატთა დასახელება 25 დეკემბერს დაიწყო. დღემდე 6 კანდიდატი დასახელებული და ამ ექვსიდან ყველაზე „მოკრძალებული თანამდებობის" პირი მმართველი და დირექტორია.

ყოველი შემთხვევისათვის ერთხელ კიდევ ჩამოვთვალოთ დეპუტატობის კანდიდატებად დასახელებულთა თანამდებობები: ინსტიტუტის დირექტორი, საწარმოს გენერალური დირექტორი, ბაზის დირექტორი, სამშენებლო ტრესტის მმართველი, გაერთიანების გენერალური დირექტორი, პარტიის რაიკომის მდივანი.

სულ ეს არის.

სხვათა შორის, შემდგომ, მართვის სისტემების ინსტიტუტში საუბრისას (აქ ბახტრიონის 64-ე საარჩევნო ოლქია), ინსტიტუტის დირექტორის მოადგილემ ნუგზარ ყაველაშვილმა შენიშნა, თავისთავად გასაკვირი არ უნდა იყოს, ამა თუ იმ საწარმოსა და ორგანიზაციაში ხალხი დეპუტატობის კანდიდატად თავიანთ ხელმძღვანელებს თუ ისახელებს. ღირსეული ხელმძღვანელი მათ ხელისუფლების უმაღლეს ორგანოშიც ღირსეულ წარმომადგენლად უნდა გგულებოდეთო.

ამ ნათქვამში არის, რა თქმა უნდა, ლოგიკა, მაგრამ განა ის კი საკამათოა, რომ სხვა ნიჭი უნდა ადმინისტრაციულ-ორგანიზატორულ საქმიანობას და სხვა კიდევ — საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მოღვაწეობას?

განა ძნელი დასაჯერებელი არ არის, რომ ჩვენ ასე უხვად დავუსაჩუქრებივართ გამჩენს „უნივერსალური" უნარის მქონე ადამიანებით?

მეტიც. თუ ამ ლოგიკას გავყვებით, ისე გამოვა, მგონი აღარც ღირდეს დეპუტატთა არჩევნები და ვამჯობინოთ ეს საქმე პირდაპირ მივანდოთ ხოლმე იმათ, ვისაც დირექტორებად, საწარმოს ხელმძღვანელებად და მმართველებად ვირჩევთ თუ ვნიშნავთ!

სრულიად მიუკიბ-მოუკიბავად უნდა ითქვას, რომ იგივე მართვის სისტემების ინსტიტუტის კოლექტივმა დეპუტატობის დიახაც ღირსეული კანდიდატი დასახელა, კაცი, რომელსაც არა მარტო თანამშრომლები და კოლეგები სცემენ პატივს, არამედ, როგორც იტყვიან, ჩვენი ფართო საზოგადოებრობაც ღირსეულ პიროვნებად იცნობს და აფასებს.

ოღონდაც!

დიახ, ოღონდაც მაინც როგორღაც გულდასაწყვეტია, რომ იმავე კრებაზე სურვილიც არ გაჩნდა სხვა კანდიდატურაც განეხილთ, ემსჯელათ. ეპაექრათ.

ღირსეულ კოლექტივს ხომ მართო ერთი ღირსეული პიროვნება არ წარმოადგენს!

ასეთ დროს ყოველთვის უნდა იყოს კამათი, აზრთა ცხოველი გაცვლა-გამოცვლა. ცხადია, ეს არავის ღირსებას არ ლახავს. პირიქით! თავისთავად ის ფაქტიც, რომ შრომითი კოლექტივი, კოლეგები, ამხანაგები ხელისუფლების უმაღლეს ორგანოში შეს შესაძლო წარმომადგენლობაზე მსჯელობენ, ძალზე მეტყველი ფაქტია და სტიმულის მიმცემი შემდგომ საქმიანობაში.

ერთი სიტყვით, ახლა იმის თქმა გვინდა, რომ წინასაარჩევნო კრებებზე, რომლებიც ამ დღეებში იმართება შრომითის კოლექტივებში, საწარმოებში, ორგანიზაციებში მეტი გაბედულება, გულწრფელობა და პირდაპირობა გვმართებს ამომრჩეველს. და ძალიან კარგი იქნება თუ ამაში მაგალითს ისევ ხელმძღვანელი, თანამდებობის პირები მისცემენ სხვებს. რაღა თქმა უნდა, საოლქო საარჩევნო კომისიების წევრებმაც უნდა იაქტიურონ. თორემ მართო იმაში, რომ ჯერჯერობით რაისაბჭოს აღმასკომში პრეტენზიები არ მოსულა იმ კრებებიდან, რომლებზეც დეპუტატობის კანდიდატებს ასახელებენ, დიდად დამაშვიდებელი არაფერია.

რატომაც არ უნდა იყოს პრეტენზიები!

ბოლოს და ბოლოს, დაინტერესებულ კაცს შეიძლება მოეჩვენოს კიდეც, რომ კრებაზე რაღაც ბოლომდე ისე არ იყო, როგორც საჭიროა.

ეტყობა სწორედ ასეთი „დაინტერესებულობა" აკლია ჩვენს კრებებს, თორემ „გულწრფელად უნდა ითქვას, არაფერი საბაბი არ ჩანს ეჭვისა, რომ ამომრჩეველთა ინიციატივას რაისაბჭოს აღმასკომი ან პარტიის რაიონული კომიტეტი ბოჭავდეს.

უნდა ვიფიქროთ, მთავარი ხელისშემშლელი გარემოება ისევ და ისევ ძველი ინერციის დაუძლევლობა, ფსიქოლოგიური ფაქტორი უფროა.

კერძოდ, ჩვ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ საბურთალოს რაიონში არ არის საარჩევნო კომისია, რომლის შემადგენლობაში არჩეულნი არ იყვნენ საბალხო ფრონტისა და რუსთაველის საზოგადოების წარმომადგენლები. არ ყოფილა საარჩევნო კომისიის წევრთა მოსაზრების იგნორირების არცერთი შემთხვევა.

რაიაღმასკომში არჩევნებთან დაკავშირებით შექმნილი სამუშაო ჯგუფის უპირველეს ამოცანად თავიდანვე ის განისაზღვრა, რომ სრულიად შეუზღუდავად წარმართონ საქმიანობა საარჩევნო კომისიებმა, აღმასკომიდან კი ყველაფერი გაკეთდეს მათი სამუშაო პირობების უზრუნველსაყოფად.

— ადრინდელ არჩევნებზე ამ დროს მართო ჩემი სამუშაო მაგიდა რომ გენახათ, მაშინვე მიხვდებოდით როგორ „არ ერეოდა" საქმეში პარტიის რაიკომი,— ღიმილით ამბობს პარტიის საბურთალოს რაიკომის საორგანიზაციო განყოფილების გამგე თამაზ წერეთელი — მოგეხსენებათ, წინასაარჩევნო თათბირებიც კი რაიკომებში იმართებოდა ხოლმე.

საორგანიზაციო განყოფილების გამგე დიდხანს და დამაჯერებლადაც ლაპარაკობდა იმაზე, რომ რაიკომმა დათმო არჩევნების წარმართვის მონოპოლია. სხვათა შორისო, — შენიშნა, — ამ საკითხზე ორჯერ გვქონდა თათბირი და ორივეზე მოვიწვიეთ საბალხო ფრონტისა და რუსთაველის საზოგადოების წარმომადგენლები.

— და მაინც, შეიძლება თუ არა, ითქვას, რომ ხალხი დარწმუნებულია, პარტიის რაიკომის დიქტატი სრულიად გამორიცხულია წინასაარჩევნო და საარჩევნო პროცესშიც?

— არა, თუ გულწრფელნი ვიქნებით, უნდა ვთქვათ, რომ ასეთი ეჭვი ხალხში ისევ არის და მის გაქარწყლებას სხვა თუ არაფერი, დრო მაინც ჭირდება.

მე შემიძლია მხოლოდ ჩვენი პარტიის რაიონული კომიტეტის მაგალითზე განვაცხადო დაბეჯითებით, რომ მისი უპირველესი საზრუნავია, რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს არჩევნებმა სრული დემოკრატიის ატმოსფეროში ჩაიაროს. გვჯერა ამ საქმეში თავიანთ ღირსეულ სიტყვას იტყვიან რუსთაველის საზოგადოება, საბალხო ფრონტი, სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციები, არაფორმალური გაერთიანებები და ეს ყველაფერი მხოლოდ და მხოლოდ სასიკეთოდ წაადგება ჩვენს საერთო საქმესა და მიზანს.

— შეგეძლოთ თუ არა, პატივცემულო თამაზ, ასევე გელაპარაკათ არც ისე დიდი ხნის წინათ, ქირურგიის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტის დირექტორი **ვახტანგ ეგნატეს ძე ფიფია** — ზუგდიდის რაიონის ანაკლიის ექსპერიმენტული მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობის შრომითი კოლექტივისაგან.

ზესტაფონის ცენტრალური რაიონული აფთიაქის გამგე **ვახტანგ მამიას ძე ქავთარაძე** — აფთიაქის შრომითი კოლექტივისაგან.

ზესტაფონის რაიონის საავადმყოფო-პოლიკლინიკების გაერთიანების მთავარი ექიმი **თამაზ ვალერიანის ძე ბეჟუაშვილი** — ზესტაფონის ცენტრალური რაიონული საავადმყოფოს შრომითი კოლექტივისაგან.

საქართველოს საზღვაო სანაოსნოს უფროსი **ჯემალ კონსტანტინეს ძე ჭიღვარია** — ბათუმის საზღვაო სავაჭრო ნავსადგურის შრომითი კოლექტივისაგან. რუსთაველის საზოგადოების სანაოსნოს საქართველოს საზღვაო სანაოსნოს ორგანიზაციისაგან.

საქართველოს მწერალთა კავშირის აპარის განყოფილების პასუხისმგებელი მდივანი **ფრიდონ ინგოს ძე ხალვაში** — ბათუმის პუერის მიმღები საწარმოს შრომითი კოლექტივისაგან.

ცეკავშირის გამგეობის თავმჯდომარე **რესან ბახანის ძე კონცელიძე** — ბათუმის მეთევზეთა კოოპერატივის შრომითი კოლექტივისაგან.

ბათუმის ნ. ბერძენიშვილის სახელობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მეცნიერი თანამშრომელი, საქართველოს სახალხო ფრონტის ბათუმის რეგიონალური ორგანიზაციის თავმჯდომარე **დავით ვალერიანეს ძე ბერძენიშვილი** — აჭარის სახლთმშენებლობის საკრედიტო ბიუროს შრომითი კოლექტივისაგან.

საქართველოს კომპარტიის ბათუმის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი **ალექსანდრე შოთას ძე ახვლედიანი** — ბათუმის ქიმიური ქარხნის შრომითი კოლექტივისაგან.

შუახევის რაიონის სოფელ უჩამბის საავადმყოფოს მთავარი ექიმი **გურამ ალისულთანის ძე ცინარიძე** — საავადმყოფოს შრომითი კოლექტივისაგან.

საქართველოს კომპარტიის ვანის რაიკომის პირველი მდივანი **ნოდარ ონანიმის ძე ანდრიაძე** — ვანის რაიონის სოფელ საპრასიის კოლმეურნეობის შრომითი კოლექტივისაგან.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის არქეოლოგიური კვლევის ცენტრის ხელმძღვანელი **ოთარ დავითის ძე ლორთქიფანიძე** — ვანის სახელმწიფო არქეოლოგიური მუზეუმ-ნაკრძალის კოლექტივისაგან.

კულტურის მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარე **სპარტაკ ვალერიანის ძე ბატაშვილი** — ამ კომიტეტის პლენუმისაგან.

(საქინფორმი).

# ბაქოში შ

# ფაქტი * მოვლენა * კომენტარი

ეროვნული ბიბლიოთეკა

## თვალსაზრისი

# გვჭირდება ოჯახური ფსიქოთერაპია?

**ამ ბოლო** ხანებში ბევრი იწერება საქართველოში დემოგრაფიული სიტუაციის გაუმჯობესების შესახებ, სიგულისხმო პრაქტიკული ნაბიჯებიც არის გადადგმული. მაგრამ ჯერჯერობით ყურადღების ცენტრში საკითხის მხოლოდ მატერიალურ-ეკონომიური და სოციალურ-პოლიტიკური მხარე დგას. ნაკლები ყურადღება ეთმობა ოჯახური ურთიერთობების სამედიცინო ფსიქოლოგიურ მხარეს. ამ ხარვეზის ერთგვარ შევსებას ისახავს მიზნად სამედიცინო ინსტიტუტთან არსებული სამედიცინო სექსოლოგიის კათედრა, რომელიც სექსოლოგიურ მეცნიერებაში მოპოვებულ ცოდნას პროპაგანდას უწევს თბილისის უმაღლეს სასწავლებლებში. ამას გარდა კათედრას აქვს კლინიკური ბაზა, რომელიც სამეურნეო ანგარიშზე მუშაობს. ამ სტატიაში მოგითხრობთ კათედრის და მისი კლინიკური ბაზის მუშაობის ერთ მხარეზე — ოჯახურ ფსიქოთერაპიაზე, მის ამოცანებსა და მეთოდებზე.

ოჯახურ ურთიერთობათა ფსიქოლოგიური ანალიზი პრობლემათა მდიდარ სპექტრს წარმოიჩენს. უპირველესად უნდა აღინიშნოს, რომ ოჯახი ერთ-ერთი ძირითადი ადამიანდამლობითი სოციალური ინსტიტუტია. აქაური, ასე ვთქვათ, მიკროკლიმატი ყმაწვილის პიროვნებაში ჯანსაღი სოციალურ-ღირებულებითი ორიენტაციებისა და განწყობების ფორმირების წამყვანი ფაქტორია. დადგენილია, რომ ბავშვის ფსიქიკის დეფორმაციაში ოჯახური ფიზიკურ მოვლაში დაშვებულ შეცდომებთან ერთად მშობლებთან ემოციური კავშირების თუნდაც ნაწილობრივ გაწყვეტას ან გაუკუღმართებას მიეკუთვნება. ბავშვთა ნევროზების ძირითადი წყაროც ოჯახის წევრებს შორის დისჰარმონიაა.

ოჯახურ ფსიქოლოგიურ კლიმატს დიდი მნიშვნელობა აქვს ზრდასრულთათვისაც. ოჯახი პიროვნებისათვის ფიზიკური და ემოციური სიჯანსაღის, საკუთარ ძალებში რწმენის, თვითგანვითარებისა და საკუთარი პოტენციალების გამოვლინების საშუალება უნდა იყოს. ოჯახის სოციოლოგიისა და ფსიქოლოგიის სპეციალისტ-თეორეტიკოსებმა საკითხი ამდაგვარადაც კი დასვეს — ოჯახი პიროვნებისათვის თუ პიროვნება ოჯახისათვის? ფორმულა — „ოჯახი პიროვნებისათვის“ ნიშნავს, რომ ოჯახის სიმტკიცე, სტრუქტურა, მატერიალური კეთილდღეობა ემსახურება ოჯახის წევრთა პიროვნულ ზრდას, თითოეულის ინდივიდუალური შესაძლებლობების გაშლას, ემოციურ კომფორტს. ამ შემთხვევაში ოჯახის სიმტკიცე კი არ არის თვითმიზანი, არამედ ყურადღების ცენტრში ოჯახის წევრთა პიროვნულ-სულიერი საწყისების განვითარების უზრუნველყოფაა. ფორმულა — „პიროვნება ოჯახისათვის“ ფაქტობრივად გულისხმობს ოჯახის სიმყარის სამსხვერპლოზე პიროვნების ინტერესების მიტანას. შესაძლებელია ნორმად მიჩნეული მოდელი — „ოჯახი მყარი უნდა იყოს“, წინააღმდეგობაში მოვიდეს პიროვნების თვითრეალიზაციის მოთხოვნილებასთან და დათრგუნოს ინდივიდუალური პოტენციური შესაძლებლობები და ძირეული მისწრაფებები. ასეთ შემთხვევაში ოჯახი, ოჯახური ურთიერთობები ერთგვარ ტვირთად იქცევა ხოლმე, საიდანაც ცოლი ან ქმარი (ან ორივე ერთად) ცნობიერად თუ ქვეცნობიერად ცდილობს თავის დაღწევას. აღნიშნული პრობლემა მით უფრო მძაფრდება, რაც უფრო მკვეთრია საზოგადოებაში პერსონალიზაციის ტენდენციები; ესე იგი რაც უფრო მეტი ფასი ედება ინდივიდუალური თავისუფლებისა და საკუთარი შესაძლებლობების განხორციელების იდეალებს, ადამიანი მეტად ცდილობს, გათავისუფლდეს ყოველგვარი ეღლისა და მარწუხებისაგან. ამიტომ საზოგადოების ჰუმანიზაციასთან ერთად ეტალონად იქცევა იმგვარი შიდაოჯახური ურთიერთობები, როცა ოჯახის სოციალური ინსტიტუტი და ქორწინებითი კავშირი პიროვნების ზრდის წინაპირობა ხდება. თანამედროვე ოჯახის სტაბილურობის დონის დაქვეითებაზე რომ ლაპარაკობენ, უმეტესწილად განქორწინებათა დინამიკა აქვთ მხედველობაში; მაგრამ სტატისტიკა ვერ გამოხატავს კონფლიქტების ზრდის თუ კლების ტენდენციას, ოჯახურ ურთიერთობებში „რიზისული სიტუაციების მდგომარეობას. ოჯახის სოციოლოგიის ზოგიერთი ავტორი მიაბლოებინ ციფრებს ადამოგვაცემს, რომ ოჯახების 50 პროცენტი ეგრეთ წოდებული პრობლემური, „რიზისული, კონფლიქტური ურთიერთობების მქონეა, თავისთავად ოჯახებში ამგვარი სიტუაცია უარყოფითად მოქმედებს შობადობის პოტენციაზე. საქმე ის არის, რომ ხშირად ქალები თავს იკავებენ მომდევნო ბავშვის გაჩენისაგან შესაძლო მოსალოდნელი განქორწინების, ანდა იმის შიშით, რომ არაჯანსაღ გარემოში ასეთივე თაობა აღიზრდება. ყოველივე აქედან გამომდინარეცხადია, შობადობის პრობლემა მხოლოდ სოციალურ-მატერიალური დონისძიებებით ვერ გადაიჭრება, აუცილებელია შიდაოჯახური ურთიერთობების შესწავლა და ფსიქოთერაპია.

თუკი გავითვალისწინებთ ქალის ეკონომიკური და სოციალური დამოუკიდებლობის ზრდის ტენდენციებს, ქორწინება-განქორწინების დემოკრატიზაციას, განქორწინებისადმი სოციალური საფრთხეების შემსუბუქებას, სექსუალური მორალის ლიბერალიზაციას, საზოგადოებაში სტრესული სიტუაციების ზრდას და მათდამი ინდივიდუალური ადაპტაციის სირთულეებს, მოსახლეობის ერთნაწილში ჰედონისტური და მომხმარებლური განწყობილებების კულტივირებას, ნათელი გახდება ოჯახური კრიზისებისა და განქორწინებათა რიცხვის მატების ტენდენციები. როგორც ოჯახის სოციოლოგიისა და სოციალური ფსიქოლოგიის სპეციალისტები მიუთითებენ, თანამედროვე ახალგაზრდა ოჯახებში ცოლ-ქმარს შორის ურთიერთობის ინტიმურ-ემოციური მომენტები აშკარად ჭარბობს მოვალეობით — პასუხისმგებლობით მომენტებს. ამ ნიადაგზე წარმოიშვება ახალგაზრდა წყვილებში ფსიქოლოგიური და სექსუალური შეთანაწყობის, ჰარმონია-დისჰარმონიის პრობლემები. აღინიშნება, რომ ურთიერთგაგების სირთულეები, გაუცხოება, ხასიათობრივი შეუთანაწყობლობა და სხვა ფსიქოლოგიური ფაქტორები ხშირად ედება საფუძვლად ოჯახის რღვევას. განქორწინებათა ერთი ნაწილი განპირობებულია ფსიქოლოგიური და სექსოლოგიური ინფორმაციების ნაკლებობით, ინტიმურ ურთიერთობათა კულტურის დაბალი დონით. სამედიცინო ინსტიტუტის სექსოლოგიის კათედრის ერთ-ერთი ამოცანა ახალგაზრდობის, სათანადო ინფორმირებულობის უზრუნველყოფაა. მაგრამ ნათელია, რომ მხოლოდ ლექციების კითხვა და პროპაგანდა საკმარისი არ არის. ხშირად საჭიროა მკურნალობა. კერძოდ — ოჯახურ ურთიერთობათა რეგულაცია და კორექცია, რომელსაც მიზნად ისახავს თანამედროვე მედიცინისა და ფსიქოლოგიის ახალი დარგი — ოჯახური ფსიქოთერაპია და ფსიქოკორექცია.

მაინც რა არის ოჯახური ფსიქოთერაპია, მისი ამოცანა? ეს არის ოჯახში არსებული კონფლიქტური და კრიზისული ურთიერთობების რეგულაცია, მშობლებისა და შვილების დამოკიდებულებათა კორექცია, ცოლ-ქმრის შორის ფსიქოლოგიური და სექსოლოგიური დისჰარმონიის (დისფუნქციის) მოხსნა, ერთი სიტყვით ოჯახში დადებითი ფსიქოლოგიური კლიმატის შემუშავება.

ოჯახური ფსიქოთერაპიის ამოსავალი პრინციპი ამგვარია: ფსიქოლოგი ამყარებს გულწრფელ ნდობაზე დაფუძნებულ ურთიერთობას ოჯახის ერთ-ერთ წევრთან, რომელიც თავისი ნებით მიმართავს ფსიქოლოგს, ან ოჯახის ყველა წევრთან და ნელ-ნელა, ხანგრძლივი მუშაობის შედეგად აამოქმედებს მათში კრიზისული სიტუაციის დაძლევისათვის აუცილებელ ძალებს, პიროვნულ რეზერვებს. ყველა ორგანიზმსა და ფსიქიკაში არის გამოუყენებელი შინაგანი რესურსები, რომელთა გაპტიურება ფსიქიკური გაჯანსაღების საწინდარია. ასე ხდება ადამიანში დადებითი საწყისის გამძლავრება, ინდივიდუალური ქცევის კორექცია, საკუთარი თავის მართვის უნარისა და თავის ძალებისადმი რწმენის შემუშავება. ასეთი მიდგომა ფსიქოლოგისაგან მოითხოვს დიდ ნებისყოფას, რეფლექსიებით მუშაობას ადამიანთან. ამასთან მუშაობა რომელიმე ერთი ან ორი სიმპტომის მოხსნას, როდი გულისხმობს; პიროვნება, როგორც ერთი მთლიანობა, ექცევა თერაპიული ზემოქმედების ცენტრში. ამიტომაც ამას პიროვნებაზე ცენტრირებულ თერაპიას უწოდებენ. ოჯახური ფსიქოთერაპია თანამედროვე ფსიქოანალიზის, ჰუმანისტური ფსიქოლოგიისა და სხვა ფსიქოთერაპიულ მიმდინარეობათა წიაღში აღმოცენდა. ოჯახური ფსიქოთერაპიის პრაქტიკაში წესისამებრ წამყვანი ფიგურა ფსიქოლოგი ან ფსიქოანალიტიკოსია, ამასთან მას აქვს მჭიდრო კავშირი ექიმ-სექსოლოგთან, ფსიქიატრთან, პედიატრთან და მედიცინის სხვა დარგების სპეციალისტებთან.

ოჯახური ფსიქოთერაპიის სამსახური ნებაყოფლობით პრინციპს ემყარება, იგი მხოლოდ და მხოლოდ იმათ ემსახურება, ვინც თვითონ მიმართავენ სპეციალისტს. ოჯახის პირად საქმეებში ყოველგვარი გარეგანი ჩარევა გამორიცხულია. ფსიქოლოგი ამ შემთხვევაში პიროვნების ან მთელი ოჯახის ინტერესებით ხელმძღვანელობს. მნიშვნელოვანია ის, რომ იგი პირადი სიდუმლოს შენახვის სრულ გარანტიას იძლევა.

პრაქტიკაში გამოიყენება კიდევ ერთი მნიშვნელოვანი და ეფექტური გზა — ჯგუფური ფსიქოკორექცია ოჯახისა და ქორწინების საკითხებზე. ადამიანთა ჯგუფში (20-30) კაცი იმართება სპეციალური ფსიქოლოგიური ტრენინგი, რომლის მიზანია მწვავე ოჯახური კონფლიქტების მოდელირება და მათგან თავის დაღწევის გზების ძიება, მშობლებს და შვილებს შორის ურთიერთობების ანალიზი და კორექცია, სტრესული სიტუაციებისა და მძიმე სულიერი განცდების ფსიქოდრამატული მეთოდებით განტვირთვა.

პრაქტიკული მუშაობის მეთოდური მხარის დახასიათებისას უნდა აღინიშნოს, რომ ოჯახური ფსიქოთერაპია და ფსიქოკორექცია თანამედროვე ფსიქოლოგიისა და ფსიქოთერაპიის სხვადასხვა მეთოდურ მონაპოვართა კომპლექსს იყენებს (ფსიქოანალიზი და არადირექტიული საუბარი, ფსიქოდიაგნოსტიკური ტესტები, ჯგუფური დისკუსია და პიროვნებათშორისო ურთიერთობების ანალიზი, ფსიქოდრამა და ემოციური კათარზისი, აუტოტრენინგი, შეიდეტაცია და სხვა.). ამას ამიტომ მოგახსენებთ, რომ ჩვენში, სამწუხაროდ, ფსიქოთერაპევტის ფიგურა ხშირად ცალმხრივად, არასწორად წარმოუდგენიათ ხოლმე. იგი მიაჩნიათ სპეციალისტად, რომელიც მხოლოდ სამკურნალო პიპნოზისა და შთაგონების სხვა მეთოდებს ფლობს, რათა რამენაირად დაარწმუნოს ჯიუტი ავადმყოფი. პრაქტიკოსი ფსიქოლოგისა და ფსიქოთერაპევტის მუშაობა გაცილებით მეტს გულისხმობს და ისახავს მიზნად.

თანამედროვე დასავლეთის საყაროში ფსიქოანალიზის მოძღვრება კულტურის განუყოფელი ნაწილია. ეს არა მარტო იმით გამოიხატება, რომ ფსიქოანალიზის იდეები ხარბად იიტაცა მწერლობამ, კინემატოგრაფმა, ფერწერამ (სიურეალიზმი), პედაგოგიკამ, სოციოლოგიამ და მედიცინამ, არამედ იმაშიც, რომ თანამედროვე ადამიანი სპეციალისტ-ფსიქოლოგიის ან ფსიქოანალიტიკოსის დახმარებით ებრძვის ცხოვრების სოცარად აჩქარებულ რიტმს, სტრესებს, ნერვოზის გამომწვევ სიტუაციებს, მძიმე სულიერ განცდებს, შიშსა და სასოწარკვეთას. ჩვენში ფსიქოანალიზი უსაფუძვლოდ იყო უკუგდებული და გამოცხადებული ბურჟუაზიული გაუკუღმართებული აზროვნების გამოვლენად. დღეს უკვე დადგა ფსიქოანალიზის რეაბილიტაციის დრო. სამედიცინო სექსოლოგიის კათედრის წამოწყება ოჯახური ფსიქოთერაპიისა და ფსიქოკორექციის სამსახურის დანერგვისათვის ამ მიზნის განხორციელების გზაზე გადადგმული ნაბიჯებია.

**ნოდარ სარჯველაძე,**
**ფსიქოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი.**



## კომპოზიტორის საიუბილეოდ

**ფლევანდელი** წლის დამლევს სრულდება ქართული მუსიკის კლასიკოსის, პირველი ქართული კომიკური ოპერის „ქეთო და კოტეს“ შემქმნელის ვიქტორ დოლიძის დაბადების 100 წლისთავი. ამ თარიღს ფართოდ აღნიშნავს რესპუბლიკის საზოგადოებრიობა. შექმნილია საიუბილეო კომისია საქართველოს კულტურის მინისტრის ვალერი ასათიანის თავმჯდომარეობით.

ვიქტორ დოლიძემ დიდი წვლილი შეიტანა ქართული პროფესიული მუსიკის განვითარებაში. მისი ოპერები, სიმფონიური და ვოკალური ნაწარმოებები ქართული მუსიკალური კულტურის ბრწყინვალე ფურცლებია. კომპოზიტორმა ბევრი რამ გააკეთა ოსური მუსიკალური ფოლკლორის შესაკრებად. მის კალამს ეკუთვნის დაუმთავრებელი ოპერა „ზაჰირა“, რომელიც ოსურ მოტივებზეა შექმნილი.

საიუბილეო წელს განხორციელდება ოპერა „ქეთო და კოტეს“ ახალი დადგმა. იგი სხვადასხვა დროს წარმატებით იდგმებოდა სსრ კავშირის, აგრეთვე მთელ რიგ საზღვარგარეთის ქვეყნების მრავალი დიდი თეატრის სცენაზე. ამ თარიღს დაუკავშირდება ვოკალისტთა კონკურსი, რომელიც გაიმართება ივნისში. მასში მონაწილეობას მიიღებენ საბჭოთა და უცხოელი მომღერლები. საიუბილეოდ გამოქვეყნდება მუსიკათმცოდნის მირა ფიჩხაძის მონოგრაფია „ვიქტორ დოლიძე“. გამოვა ოპერა „ქეთო და კოტეს“ კლავირი საქართველოს სახალხო არტისტის კომპოზიტორ ალექსანდრე შავერზაშვილის რედაქციით.

საქართველოს კულტურის სამინისტრო რესპუბლიკის სამუსიკო საზოგადოებასთან ერთად ოზურგეთში — კომპოზიტორის სამშობლოში — გამართავს მუსიკალურ ფესტივალს. ამ შემოქმედებითს დათვალიერებაში მონაწილეობას მიიღებენ საუკეთესო მუსიკალური კოლექტივები და შემსრულებლები. ოზურგეთის ა. წულუკიძის სახელობის დრამატულ თეატრში გაიმართება კამერული და სიმფონიური მუსიკის კონცერტები. ფესტივალი დამთავრდება დიდი სადღესასწაულო საღამოთი.

დასკვნითი აკორდი იქნება საზეიმო სხდომა თბილისის ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და बალეტის აკადემიურ თეატრში.

(სპეციფორმი).

## გასტროლები

**დიდი** თეატრის სოლისტის, საქართველოს სსრ სახალხო არტისტის ნინო ანანიაშვილის ყოველი ჩამოსვლა თბილისში ზეიმის დარია, მით უფრო, როცა ტრადიციულად ნინო საახალწლოდ მოაშურებს ხოლმე სიხარულით მშობლიურ ქალაქს, რათა თავისი უზადო ხელოვნებით შვება მოჰგვაროს თავის ხალხს. თუმცა ამჯერად საახალწლოდ სტუმრობა ნინოს ვერ მოუხერხდა სხვადასხვა მიზეზთა გამო, მაგრამ ცოტა მოგვიანებით და მაინც ახალ წელს (ძველით) გამოეძახა დრო და საშუალება ჩამოსულიყო ჩვენთან და რესპუბლიკისათვის ამ დაძაბულ დღეებში თავისი ჭეშმარიტი ხელოვნებით გამოხატა თანდგომა და თანახზიარობა მშობლიური ერისადმი.

ამჯერად მაყურებელთან შესახვედრად მან „დონ კიხოტი“ აირჩია, ჩელიტას პარტია, ამ როლში პირველი გამოჩენისთანავე რომ დაიმსახურა ცნობილი და აღიარებული ეპითეტი „დიდი თეატრის ფერია“, რომელშიც, როგორც ამბობენ „მთლიანად გადმოიღვარა მისი მეტყველი ქართული ბუნება“. მას პარტნიორობა გაუწია რუსეთ დამსახურებულმა არტისტმა ა. ფადეეჩევმა.

საერთოდ, „დონ კიხოტი“, როგორც თვითონ ამბობს, მის ცხოვრებაში კინაღამ საბედისწერო სპექტაკლი აღმოჩნდა, და აი, რატომ. ერთხელ როცა იგი კრემლის ყრილობათა სასახლეში ამ სპექტაკლზე მაყურებლად მივიდა, წარმოდგენის დაწყებამდე ოცი-ოდე წუთით ადრე იხმეს და სასწრაფოდ გადაიცვეს ჩელიტას „აბა თხოვნით: შეეცვალა ავადმყოფი კოლეგა... ასე ურეპეტიციოდ, პირდაპირ სცენაზე იცეკვა ნინომ ირეკ მუხამედოვთან ერთად, რომელთანაც ადრე ამ ბალეტში არასოდეს უცეკვია. ნერვიულობა და მღელვარება, საბედნიეროდ, ეადაიზარდა მნიშვნელ და ლამაზ სპექტაკლში.

წლები გავიდა... ნინოს ჩელიტამ სხვა პარტიებთან ერთად მსოფლიოს მრავალი სცენა მოიარა დიდი წარმატებით. მას მოუთმენლად ელიან ყველგან. აი ახლაც, ცოტა ხანში, იგი გაემგზავრება ლისაბონში, რათა „დონ კიხოტის“ პრემიერაში მიიღოს მონაწილეობა.

თბილისურმა შეხვედრამ კელავ აღფრთოვანა მაყურებელი და დაგვარწმუნა, თუ როგორ უყვარს მშობლიურ ხალხს ნინოს ხელოვნება და როგორ ეთაყვანება მას.

• • •

**სურათებზე:** ცეკვავს ნინო ანანიაშვილი.

**ჯაბარ ლომაძის ფოტო.**

## კულტურის ქრონიკა

# რას გვიამბობს ციხე-სიმაგრე?!

აი რატომ დაუკავშირდა პარმენ ზაქარაიას ცხოვრება ხელოვნებას, უფრო კონკრეტულად — ქართული ხელოვნების ისტორიას.

გიორგი ჩუბინაშვილამდე ქართული ხელოვნება ცალკე თვითმყოფად ფენომენად არ აღიქმებოდა. იგი ხან ბიზანტიური, ხან რომელიმე სხვა კულტურის ერთ-ერთ შემადგენელ ნაწილად განიხილებოდა. ჩუბინაშვილის და მისი სკოლის უდიდესი დამსახურება სწორედ ის გახლავთ, რომ ზღვა ფაქტობრივი მასალის ღრმად შესწავლის, გაანალიზების საფუძველზე შეძლეს ეჩვენებინათ, დაემტკიცებინათ, რომ მოლიანად ქართული კულტურა ყველა ეროვნულ კულტურებისაგან აბსოლუტურად დამოუკიდებელი, თავისთავადი და განუმეორებელია, რადგანაც მას საუკუნეთა მანძილზე ქმნიდა ერის სული, ხასიათი, ზნე, თვისება. ნიკორწმინდის ჩუქურთმა ქართულია და მხოლოდ ქართული, ისევე როგორც „შენ ხარ ვენახი“. ამდენად, თუმც ქართველი კაცი უპატივცემლოდ განწყობილი ძველბერძნული და ბიზანტიური კულტურებისადმი აროდეს ყოფილა, საერთო მასთან ცოტა რამ აქვს.

— ამ საოცარ პიროვნებას, როგორც არავის, ისე შეეძლო გადამდებად შრომისმოყვარე ყოფილიყო. ისე მოგმართვდა სამუშაოდ, დღე და ღამეს ვეღარ გაარჩევდი. საოცარია გენის, სულის ფენომენი. პეტერბურგში დაბადებულს და აღზრდილს, გერმანიაში განათლებამიღებულს სამშობლოსკენ გამოსწია გულმა. ისე შეისწავლა ქართული, ნაწერს გვისწორებდა ხოლმე.

სწამდა, — და ჩვენც, მოწაფეებსაც გადმოგვდო ეს რწმენა, — ერის სული ყველაზე მძაფრად ხელოვნებაში ჩანსო.

3. ზაქარაიას კვლევის საგანი ქართული საერო და საკულტო ნაგებობანი იყო, რაც სამტომიანი მონოგრაფიით „ქართული ცენტრალურგუმბათოვანი ტაძრები“ დაგვირგვინდა. ეს ნაშრომი, რომელშიც ჭეშმარიტ პროფესიულ დონეზე ეტაპობრივად არის განწყობილი X-XVIII საუკუნეების თეუულობით ძეგლი, ეროვნული ისტორიოგრაფიის კარგი შენაძენია.

მისი, როგორც ხელოვნების ისტორიის მკვლევარის, ინტერესების ერკალი საკმაოდ ფართოა — ანტიკური ეპოქიდან თანამედროვე ხელოვნებამდე; აქვს არქიტექტურის, ფერწერის, ამასთან არა მხოლოდ ქართული, იტალიური მხატვრობისადმი მიძღვნილი შრომები.

საქართველოს ტერიტორიაზე უამრავი ციხე-სიმაგრეა. თითოეული მათგანი ხომ ცალკე ისტორია, ცალკე ამბავია, თითოეული რაღაცას გვიამბობს, რისამე „უტყვი მოწმეა. ალბათ განსაკუთრებული ნიჭი, გფავიცებული სმენაა საჭირო, რომ ეს ნამბობი გაიგონო. ეს პრობლემაც მან აკადემიკოს გ. ჩუბინაშვილის წინადადებით შეისისტხორცა. მას ფეხითა აქვს მოვლილი მთელი საქართველო, სკრუპულოზურად აღნუსხული, შესწავლილი, ფიქსირებული სხვადასხვა ტიპისა და სახის ციხეები. ეს სამუშაო კოლოსალურ ფიზიკურ და სულიერ ენერგიას მოითხოვს. დიდმა მასწავლებელმა გ. ჩუბინაშვილმა მაღალი შეფასება მისცა თავისი მოწაფის ამ შრომას, მისი აზრით ამ მეცადინეობამ ქართული ხელოვნების ისტორია კიდევ ერთი ფუტცლით შეავსო.

ცალკე საუბრის თემაა პარმენ ზაქარაია — არქეოლოგი. ორმოცდაანი წლების დასასრულს, როდესაც აკადემიკოსმა ნიკო ბერძენიშვილმა ახალი დისციპლინა — ისტორიული გეოგრაფიისათვის ბალავარის დადება წამოიწყო, პირველ კომპლექსურ ექსპედიციაში, რომელიც თეთრიწყაროს რაიონში მოეწყო, ხელოვნებათმცოდნე ახალგაზრდა ბ. ზაქარაია მიიწვია და არც შემცდარა. მას მერე არქეოლოგიის ვირუსიც შეეყარა გახუკურნებლად. — ნაქალაქარი ურნნინი, ნაქალაქარი ბრეში, გიორგი საკაძის რეზიდენცია, ჭაქვინჯის ციხე-დარბაზი, ნაქალაქარი გუდავა-ბიღინეოსი და ბოლოს ეგრისის სამეფოს დედაქალაქის — ნაქალაქევ-ციხეგოჯი-აქეოპოლისის (ძველი წელთაღრიცხვის III საუკუნიდან ახალი წელთაღრიცხვის VIII საუკუნეების ჩათვლით) გათხრებს აწარმოებს. გათხრები ახლაც მისი ხელმძღვანელობით მიმდინარეობს. რამდენი სიძნელე, წვალება, შრომა ახსოვს, რამდენიც — შემოქმედებითი სიხარული.

უბრალოდ ჩამოვთვალოთ: მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხელოვნების ისტორიის და თეორიის კათედრის გამგე, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი პარმენ ზაქარაია 150 სამეცნიერო ნაშრომის ავტორია, მათგან 25 წიგნად არის გამოცემული, 12 მონოგრაფიაა. ორმოცდაათამდე დისერტანტის ოპონენტი ყოფილა, მისი ხელმძღვანელობით რამდენიმე საკანდიდატო დისერტაციაა დაცული. სხვადასხვა დროს ლექციებს კითხულობდა საქართველოს მამართულებრივ ინსტიტუტში, სამხატვრო აკადემიასა და თეატრალურ ინსტიტუტში, მრავალი სხვადასხვა სამეცნიერო საბჭოს და საზოგადოების წევრია. დამეთანხმებით, ბარე ორ კაცს ეყოფოდა ყოველივე ეს ერთმანეთში გასანაწილებლად, საიმისოდ, რომ ცხოვრების ბოლოს სიკარიელე არ ეგრძნოთ უქმად ჩავლილი წლების გამო. მეცნიერი კი, რომელსაც ამ ცოტა ხნის წინათ 75 წელი შეუსრულდა, სულ სხვაგვარად ფიქრობს: წარსული რაგინდ საინტერესო, წარსულია, უმთავრესი კი მაინც მომავალია...

**გალინა ხარებავშვილი.**

## მეცნიერის ღვაწლი

**როცა** ქვემეხები ლაპარაკობენ, მუზები სდუმანო... ჩვენ ქვეყანას ხშირად ედგა პერიოდი, როდესაც მუზები იძულებულნი იყვნენ ჩაუჩინებულიყვნენ, მაშინაც ქვემეხები ხმას რომ არ იღებდნენ — უდიდესი აღმშენებლობით გატაცებული ადამიანებისათვის „დიადა, ნათელი მიზნის“ გარდა სხვა აღარაფერი არსებობდა. ისეთ დროს ადგილი აღარ რჩება ხოლმე ლეკვსასთვის, მუსიკოსთვის, მშვენიერისთვის, ამაღლებულისთვის.

...და მაინც

ყოველ დროს, ყველანაირი ძალადობის ჟამს არიან ადამიანები, ვისთვის უცხოა მედროვის პრინციპები და სულის ძაბილს მიყვებიან.

ბორის ვასილიევის „ხვალ კი იყო ომი“... გიისსენეთ ერთი დეტალი — ოცდაათიანი წლების ახალგაზრდობის პასუხები კითხვაზე „ვინ გინდა იყო?“ — ტანკისტი, მფრინავი, მეომარი... ყველაფერი მაღალ ტონალობაშია გადაწყვეტილი, ზმაურიანია ყოველი ფრაზა, ყესტი და როცა ამ დროს ერთ უბრალო, უპრეტენზიო ჩითისკაბიან ქალიშვილში, როგორც ბალახის ბორჩ ღერზე დილაუთენია ცვრის წვეთი, ისე გაკრთება მარადქალური ბუნება — ჩუმად წყნარად იტყვის, ჭკვიანი მინდა ვიყო, შვილებს ლამაზი ტანსაცმელი შეუკერონო... — თავს ცვლის ირისბვას დაატეხენ, ნახა ოჯახურ მყუდროებაზე ოცნების დროო. არა ეს ბერძესკი არ არის. ეს იმ დროის სულისკვეთებაა (აი პასტერნაკიც: „და ჩვენ ვცხოვრობდით ვით მოლაშქრენი“) ამ დროისავე შვილის, თვითმხილველის თვალით დანახული.

შესავალი უმიზნოდ არ გამგრძელებია. პარმენ ზაქარაიაც იმ დროის შვილია. როგორც ყველა ყმაწვილკაცისთვის, მისთვისაც იდგა არჩევანი — საით? რა გზით? მაშინაც, როცა არქიტექტორის დიპლომით ცხოვრებაში ფეხის შედგმას აპირებდა და როცა თითქოს ბევრი რამ უკვე გარკვეული უნდა ყოფილიყო, ბოლომდე არც მაშინ ჰქონდა გაცნობიერებული თავისი მომავალი. ერთი რამ ცხადი იყო — საბრძოლო ლაშქრობას — უარი! მშვენიერება სურდა ეკლესია.

ყველაფერი გიორგი ჩუბინაშვილთან შეხვედრამ გადაწყვიტა.

ეი რატომ ზაქარაიას ცხოვრება ხელოვნებას, უფრო კონკრეტულად — ქართული ხელოვნების ისტორიას.

გიორგი ჩუბინაშვილამდე ქართული ხელოვნება ცალკე თვითმყოფად ფენომენად არ აღიქმებოდა. იგი ხან ბიზანტიური, ხან რომელიმე სხვა კულტურის ერთ-ერთ შემადგენელ ნაწილად განიხილებოდა. ჩუბინაშვილის და მისი სკოლის უდიდესი დამსახურება სწორედ ის გახლავთ, რომ ზღვა ფაქტობრივი მასალის ღრმად შესწავლის, გაანალიზების საფუძველზე შეძლეს ეჩვენებინათ, დაემტკიცებინათ, რომ მოლიანად ქართული კულტურა ყველა ეროვნულ კულტურებისაგან აბსოლუტურად დამოუკიდებელი, თავისთავადი და განუმეორებელია, რადგანაც მას საუკუნეთა მანძილზე ქმნიდა ერის სული, ხასიათი, ზნე, თვისება. ნიკორწმინდის ჩუქურთმა ქართულია და მხოლოდ ქართული, ისევე როგორც „შენ ხარ ვენახი“. ამდენად, თუმც ქართველი კაცი უპატივცემლოდ განწყობილი ძველბერძნული და ბიზანტიური კულტურებისადმი აროდეს ყოფილა, საერთო მასთან ცოტა რამ აქვს.

# ციხე-სიმაგრე?!

## მიტინგები გრძელდება

# როგორ ვიაროთ აღთქმული მიზნისკენ?!

**აქცია** საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის მოთხოვნით კვლავ გრძელდება. ამჯერად 40-ზე მეტი კაცი შიმშილობს. მთავრობის სახლთან დაბანაკებულთ უერთდებიან დელეგაციები საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან.

გრძელდება ისტორიული შიდა ქართლიდან ჩამოსულ ქართველთა საპროტესტო აქციაც, რომელსაც აქტიურად უჭერს მხარს ჭელსინკის ჯგუფი და ილია მართლის საზოგადოება. ორშაბათს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის შენობის წინ გაიმართა მიტინგი, რომლის მონაწილეებმა უკმაყოფილება გამოთქვეს იმის გამო, რომ მტკიცე ზომები არ ტარდება, ხოლო დაპირებანი არ სრულდება. ისინი კვლავაც მოითხოვენ საქართველოს უზენაესი საბჭოს რიგგარეშე სესიის მოწვევას, რათა გაუქმდეს უკანონოდ შექმნილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი, მოითხოვენ მთლიანად დაიშალოს „ადამონ ნიხასი“, კანონიერად დაისაჯონ მისი ორგანიზატორები, შეწყდეს ტერორი ქართველთა წინააღმდეგ, გაუქმდეს როკის გვირაბი, რათა საბოლოოდ გადაიკეტოს იარაღის უკანონოდ შემოტანის მთავარი გზა.

მიტინგის მონაწილეებს შორის იყვნენ სოფელ ფრისში მოკლული 9 თვის ბავშვის მშობლები. მათ განაცხადეს, რომ ოსეთის საოლქო რადიო ათასგვარ ცილისმწამებელურ ჭორს აერცელებს ჩვენის მკვლელობის თაობაზე, საქართველოს სამართალდამცავმა ორგანოებმა კი თანასაფლელებს მიერ დაკავებული ეჭვმიტანილი პირები გაათავისუფლეს.

ვაჟა ადამიამ, წმინდა ილია მართლის საზოგადოების გამგეობის წევრმა, შიდა ქართლში ქართველთა დასახმარებლად თავმოყრილი რაზმების ერთ-ერთმა ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ მათ სთხოვენ დაიშალონ და მოხსნან პიკეტები, მაგრამ დღესდღეობით ეს არ შეიძლება, რადგან მილიცია ვერ აკონტროლებს შექმნილ ვითარებას და, თუ მაინც სიტუაცია სტაბილიზაციისაკენ მიდის, ეს ჩვენი დიდი ძალისხმევის შედეგიაო. მანვე აღნიშნა, რომ ახლა მილიციელებთან ერთად „ცხელ“ წერტილებში დგანან მილიციის უმაღლესი სკოლის კურსანტები. ბევრი მათგანი ნამდვილად ღირსეული პიროვნებაა, მაგრამ ისინი მეტად შეზღუდულნი არიან ინსტრუქციით, თვლით იღებენ დაბარებენ ტყვეებს, მაშინ, როდესაც ვინმე ჰამლეტ ბითაოვი ავტომატმოძარაჯებული „ბეტეერით“ დანავარდობს და შიშის ზარს სცემს მშვიდობიან მოსახლეობას.

ზვიად გამსახურდიამ შეკრებილთ მარნეულის რაიონის ზოგიერთი საგულისხმო მოვლენა აუწყა და სიფხიზლისათვის მოუწოდა.

დიანა მიჩაბელმა, ორგანიზაცია „სამჩაბლოს“ წარომადგენელმა, აღნიშნა, რომ სამხრეთ ოსეთის ოლქში სერიოზული დარღვევებით მოეწყო მოსახლეობის აღწერა და საჭიროა ამ წინასწარგანზრახული შეცდომის დაუყოვნებლივ გასწორება...

ზაქრო ახალაშვილმა საქართველოს ძველი დედაქალაქის მკვიდრმა, მიტინგის რიგითმა მონაწილემ გვითხრა, — მე რომ ჩემი პირადი განცხადება მქონდეს გასაკეთებელი, ტრიბუნაზე ავიდოდი და თუ მაინც ჩემი კონკრეტული აზრი გაინტერესებთ, გეტყვით, აქ გაგონილ მოწოდებებზე მეტად აკაკი ბაქრაძის მოსაზრება მეწინააღმდეგებოდა: „დიდია მსხვერპლი, შედეგი... თავად განსაჯეთ.

ემოციურმა პატრიოტიზმმა თავისი ვალ